პროლეტარიელნო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ შრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

КОМУНИСТИ

გამოცემის 29-ე წელი

სამშაბათი, 23 ნოემბერი, 1948 წ. № 232 (8276). ფასი 20 კაპ.

მეჯი ხელმძღვანელობა და დახმარება კომკავშირს

პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კომკავშირის მთელ მუშაობაში — ასე გვასწავლის დიდი სტალინი. და მართლაც, მთელი ის წარმატებანი, რომლებიც მოიპოვა ოთხგზის ორდენოსანმა კომკავშირმა სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში, სამჭედოა ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში, მიღწეულია პარტიული ხელმძღვანელობის მეოხებით. ყველა ის ღონისძიებანი, რომლებსაც ახორციელებს კომკავშირი ჩვენ ქვეყნის წინაშე დასახულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის ახალგაზრდობის დასაზრდოებად, წარმატებით გვირგვინდება მხოლოდ სწორი პარტიული ხელმძღვანელობის პირობებში. პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირის ძალისა და ძლიერების, ყველა მისი გამარჯვების წყაროა.

ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოებისა საბჭაარიში-საარჩენო კამპანიან, რომელიც ამჟამად რუსეთსლიკაში მიმდინარეობს, ერთხელ კიდევ დადგა, რომ კომკავშირი მის წინაშე დადგმულ ახალ ამოცანებს წარმატებით წყვეტს მხოლოდ მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობის პირობებში.

ორგანიზებულად, მაღალი პოლიტიკური აქტივობით მიმდინარეობს ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების საბჭაარიში-საარჩენო კამპანია ქალაქ ქუთაისსა და ფოთში, ბახარაძის, ზუგდიდის, ვერეჯანის, ჩიხალაურის, ახალქალაქის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, საჩხერის და მთელ რიგ სხვა რაიონებში. გელმოდგინე მოსამზადებელი მუშაობა, რაშიც კომკავშირულ ორგანიზაციებს კარგად ხელმძღვანელობენ და ეხმარებიან აღნიშნული რაიონების პარტიული ორგანიზაციები, უზრუნველყოფს პირველად კომკავშირულ ორგანიზაციათა საბჭაარიში-საარჩენო კრებების მაღალ პოლიტიკურ დონეს. კრებებზე გამოსული კომკავშირელები გაბედულად ამეღვანებენ კომკავშირული მუშაობის ნაკლოსანებებს, საბჭავე მომავალი მუშაობის გაუჯდომებესების ღონისძიებას. კრებები მიმდინარეობს საკავშირო ალკა წესდებისა და საარჩენო ინსტრუქციის სრული შესაბამისობით. კომკავშირული სერიოზული აწონ-დაწონის შემდეგ ხელმძღვანელ კომკავშირულ ორგანოებში ირჩევენ უნარიან, აუტორიტეტულ ამხანაგებს. პარტიის რაიონული კომიტეტების მუშაკები, პლენუმის წევრები, პარტიული აქტივი ეხმარებიან კომკავშირულ ორგანიზაციებს საბჭაარიში-საარჩენო კამპანიის ორგანიზებულად ჩატარებაში.

ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების ანგარიშები და არჩევნები, კომკავშირის ყრილობისათვის მზადება უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა კომკავშირის ცხოვრებაში და იგი ყველან პარტიული ორგანიზაციების მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით უნდა მიმდინარეობდეს. სამწუხაროდ, ზოგან ეს ასე არ არის. იმის გამო, რომ ზოგიერთ რაიონში მოსამზადებელ მუშაობას ჯერ-ჯერობით ყურადღება არ მიაქცევს, პარტიულმა ორგანიზაციებმა საჭირო ხელმძღვანელობა და დახმარება არ გაუწიეს კომკავშირულ ორგანიზაციებს, საანკარიში-საარჩენო კრებები ბიუროკრატიზებულად მიმდინარეობს, ორგანიზებულად კომკავშირის წესებისა და საარჩენო ინსტრუქციის. სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება საგნარიში-საარჩენო კამპანია ჭარელის რაიონში. არჩევნებისათვის მზადების საკითხი კომკავშირის რაიკომის პლენუმსაც კი არ განუხილეს. რაიკომს არ გაუჩინია პირველადაც კომკავშირულ ორგანიზაციებში ანგარიშგებენია და არჩევნების ჩატარების კალენდარული გეგმა. კომკავშირის რაიკომის გადაწყვეტილებით ანგარიშები და არჩევნები რაიონის 164 ორგანიზაციიდან 62 ორგანიზაციაში უნდა ჩატარდეს. ეს გადაწყვეტილება მიღებულია არსებული მდგომარეობის შეუსწავლელად. შემოწმებამ დაგვანახვა, რომ რწმენენი ვადა გასული აქვს 100-ზე მეტი პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელობას. ამაკე რაიონში საანგარიშო-საარჩენო კრებებზე ირღვევა კომკავშირის წესდება, საარჩენო ინსტრუქცია, მნიკომკავშირული დემოკრატია. 5 პირველადი ორგანიზაციაში ძველი მდივანი გაათავისუფლეს ისე, რომ მათ ანგარიში არ ჩაუბარებიათ. საანგარიში-საარჩენო კრებებზე მთელ რიგ პირველად ორგანიზაციებში არაეთიური ღონისძიება არ მიუღიათ. დაბალია კომკავშირულთა აქტივობა. სოფელ ძაძვის მონასტრის საკოლმეურეო კომკავშირულ ორგანიზაციაში საანგარიშო-საარჩენო კრებზე კამათში არც ერთი კომკავშირელი არ გამოსულა. ამ კრებზე ასეთი დადგენილება მიიღეს: „ქადიანის მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად და იგივე მდივანი დარჩეს". საკოლეთოს ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა გაიუქმა ქარელის რაიონში ჩატარებული არჩევნები და ხელახალი არჩევნები დანიშნა.

საანგარიში - საარჩენო კამპანიის მსვლელობაში დამახინჯებებს ნაკლოვანებებს ადგილი აქვს ქუთაისსა, კასპსა, ბოგდანოვკას, ადიგენის, ახმეტის, მცხეთის, ჭიათურის, ბიაკოფსკის რაიონებში. მიიაკოფსკის რაიონის ზონგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციაში საანგარიში-საარჩენო კრებებზე არ იყო გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. მაგალითად, სოფელ წითელი ხევის დამიტროვის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციაში ძლიერ სუსტია პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, არ ჩანს კომკავშირელთა ავანგარდული როლი კოლეტურნეობაში. არ იზრდება ორგანიზაცია. მოუგვარებელია კომკავშირული ქეთრნეობა. ამ ორგანიზაციის მდივანს საანგარიში-საარჩენო კრებაზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა შესახებ. მდივნის მაგალითს მიბაძეს კამათში გამოსულმა კომკავშირელმა. მცხეთის რაიონის სოფელ ქსნის „წითელი კოლეტეგიის" სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციაში საანგარიშო-საარჩენო კრება ისე ჩატარდა, რომ მას კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი არ დასწრებია. კრებზე გამოსულმა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ასე განაცხადა: ორგანიზაცია სუსტად მუშაობდა და საჭიროა მდივნის შეცვლა.

ცხადია, ეს და მსგავსი ნაკლოვანებანი და დამახინჯებანი გამოწვეულია იმით, რომ ადგილებზე პარტიული ორგანიზაციები საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ კომკავშირულ ორგანიზაციებს და რომ კომკავშირის ზოგიერთი რაკომი უპასუხისმგებლოდ მოეკიდა ამ უდიდესი მნიშვნელობის კამპანიას.

საანგარიშო-საარჩენო კრებები პირველად ორგანიზაციებში და კომკავშირის რაიონული, სამკალო და საოლქო კონფერენციები 10 დეკემბრამდე უნდა დამთავრდეს. დრო ცოტა დარჩა. პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ მტკიცე ხელმძღვანელობა გაუწიონ საანგარიში-საარჩენო კრებების მიმდინარეობას, დაეხმარონ კომკავშირს, რომ საანგარიშო-საარჩენო კრებებმა ჩაიაროს მაღალი პოლიტიკური აქტივობით, საანგარიში მოხსენებებში სწორად ასახოს ორგანიზაციებში არსებული მდგომარეობა, კრებებზე გაიმალოს სიცი ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, დაისახოს მომავალი მუშაობის გაუჯდომებესების ქმედითი ღონისძიებანი, ადგილი არ ექნეს საკავშირო ალკა წესებისა, საარჩენო ინსტრუქციის, მნიკომკავშირული დემოკრატიის დარღვევის შემთხვევებს.

საანგარიში - საარჩენო კამპანიამ, კომკავშირის ყრილობისათვის მზადებამ შედეგად უნდა მოგვცეს მთელი კომკავშირული მუშაობის გაუჯდომებესება, თვითეული კომკავშირული ორგანიზაციის ორგანიზაციულ - პოლიტიკური განმტკიცება, მისი როლისა და აუტორიტეტის ამაღლება, ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმის გაუჯდომებესება, კომკავშირულთა და ახალგაზრდობის როლის გაძლიერება ჭვეყნის საეფრნენო და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მეოთხე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელების საქმეში.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა შეასრულეს ვალდებულებანი ზეგეგმითი დაგროვების დარგში

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 1948 წლის 1 ნოემბრისათვის საერთო პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმა შეასრულეს 106,3 პროცენტით.

აღნიშნული სამინისტროს სისტემაში შეგავალ საწარმოთა კოლეტივებს ნაკისრი ჰქონდათ 1948 წლის გამოცლობაში მოეცათ 17.815.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება, ფაქტიურად კი 1 ნოემბრისათვის, ე. ი. მიმდინარე წლის ათ თვეში, უკვე მოგვცეს 19.662.000 მანეთი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილში საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი ამხ. გ. ე. ალაგიე იუწყება, რომ სამინისტროს სისტემაში შემავალ საწარმოთა მუშაკნი, იხელთქმენელები და მოსამსახურენი კირკოლონენ ახალ ვალდებულებას — მიაღწიონ წლის ბოლომდე დამატებით სულ ცოტა 3.000.000 მანეთი ზეგეგმით დაგროვებას.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს „დებულება საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნებისა".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — ვ. გოგუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — ვ. ეგნატაშვილი

1948 წ. 21 ოქტომბერი. ქ. თბილისი.

დებულება

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნებისა

თავი I

საარჩევნო სისტემა

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 23 მუხლისა და სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის 22 მუხლის საფუძველზე სახალხო სასამართლოებს რაიონის მოქალაქენი ირჩევენ საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით—სამი წლის ვადით.

2. სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქე, რომელიც სარგებლობს საარჩევნო უფლებით და რომელსაც არჩევნების დღისათვის 23 წელი შეუსრულდა. არ შეიძლება არჩეულ იქნას სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად ნასამართლობის მქონე პირი.

3. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 18 მუხლის საფუძველზე ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარგებლობს საქართველოს სსრ მოქალაქის თანაბარი უფლებით—აირჩიოს და არჩეულ იქნას სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად.

4. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის 23 მუხლის საფუძველზე რაიონის მოქალაქენი სახალხო მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს ირჩევენ საარჩევნო ოლქების მიხედვით. სახალხო სასამართლოს (სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების) არჩევნების საარჩევნო ოლქი მოიცავს მთელ მოსახლეობას, რომელიც ცხოვრობს ამ სასამართლოს ზამოქმედო ტერიტორიაზე.

5. სახალხო სასამართლოების არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ეწევა სახელმწიფო.

თავი II

ამომარჩეველთა სიები

6. ამომრჩეველთა სიებს სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის ადგენენ: ქალაქებში—მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში — რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, დაბებში—სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სოფლად—მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

7. ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქე, მამაკაცები და ქალები, რომლებიც სიის შედგენის დროს მოიცავენი სახალხო ტერიტორიაზე ცხოვრობენ და არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდათ, დამოუკიდებლად მათი რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, საარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ენობრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა.

8. ამომრჩეველთა სიებში არ შეაქვთ სასამართლოს განაჩენით საარჩევნო უფლებაშამორთმეული პირნი მთელი იმ ვადის განმავლობაში, რა ვადითაც საარჩევნო უფლების ჩამორთმევა განაჩენშია განსაზღვრული, აგრეთვე ის პირნი, რომელნიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შშმლოვნად.

9. ამომრჩეველთა სიები სდგება თვითეული საარჩევნო პუნქტის მიხედვით, ანბანის წესზე; ამომრჩეველს გვარის, სახელის, მამის სახელის, წლოვანებისა და საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით. სიებს ხელს აწერენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

10. სამხედრო ნაწილებსა და ჯარის შენაერთებში მყოფ ამომრჩეველთა სიები სდგება მეთაურის ხელმოწერით. ყველა დანარჩენი სამხედრო მოსამსახურე ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს.

11. არჩევნებამდე 20 დღით ადრე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამომრჩეველთა სიებს გამოაკრავს ყველას გასაცნობად ან უზრუნველყოფს ამომრჩეველისათვის ამ სიების გაცნობის შესაძლებლობას საბჭოს ან საარჩევნო პუნქტის შენობაში.

12. განცხადება ამომრჩეველთა სიაში დამეგზავნი შეცდომის შესახებ (სიაში შეუტანლობა, სიიდან ამოშლა, გვარის, სახელისა და მამის სახელის დამახინჯება, საარჩევნო უფლებაშამორთმეულ პირთა უმართებულოდ შეტანა სიაში) შეაქვთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში თავმჯდომარე და მდივანი.

10. სამხედრო ნაწილებსა და ჯარის შენაერთებში მყოფ ამომრჩეველთა სიები სდგება მეთაურის ხელმოწერით. ყველა დანარჩენი სამხედრო მოსამსახურე ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს.

11. არჩევნებამდე 20 დღით ადრე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამომრჩეველთა სიებს გამოაკრავს ყველას გასაცნობად ან უზრუნველყოფს ამომრჩეველისათვის ამ სიების გაცნობის შესაძლებლობას საბჭოს ან საარჩევნო პუნქტის შენობაში.

12. განცხადება ამომრჩეველთა სიაში დამეგზავნი შეცდომის შესახებ (სიაში შეუტანლობა, სიიდან ამოშლა, გვარის, სახელისა და მამის სახელის დამახინჯება, საარჩევნო უფლებაშამორთმეულ პირთა უმართებულოდ შეტანა სიაში) შეაქვთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში ან მდივანი.

13. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია ყოველ განცხადება ამომრჩეველთა სიებში დაშვებული შეცდომის შესახებ სამი დღის ვადაზე განიხილოს და შეიტანოს საჭირო შესწორებანი ამომრჩეველთა სიაში, ან მიუცეს განმცხადებელს წერილობითი ცნობა მისი განცხადების უარყოფის მოტივების შესახებ. თუ განმცხადებელი არ ეთანხმება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია საჩივარი შეიტანოს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

თავი III

სახალხო სასამართლოების არჩევნების საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები

14. სახალხო სასამართლოს არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში არჩეულ იქნება ერთი სახალხო მოსამართლე და 50-დან 75-მდე სახალხო მსაჯული.

თვითეულ საარჩევნო ოლქში ასარჩევ სახალხო მსაჯულთა რიცხვს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ ადგილობრივ ორგანოებზე ოლქებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე თვალყურს ადევნებენ არჩევნების მსვლელობაში ამ დებულების შესრულებას და სწყვეტენ სარჩოებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით.

15. სახალხო სასამართლოს ოლქებს ადგენენ: ქალაქებში—მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში — რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, დაბებში—სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სოფლად—მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

16. საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად და ხმების დასათვლელად სახალხო სასამართლოს არჩევნების საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე იქმნება საარჩევნო პუნქტები.

17. საარჩევნო პუნქტებს ჰქმნიან არა უგვიანეს 35 დღისა არჩევნებამდე: ქალაქად—მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სოფლად—მშრომელთა დეპუტატების, რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

18. ქალაქებში, დაბებში, აგრეთვე სოფლებში და იმ სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე, სადაც ოთხასზე 2.000-ზე მეტი მცხოვრები. საარჩევნო პუნქტები იქმნება ანგარიშით—ერთი საარჩევნო პუნქტი 1.500—3.000 მცხოვრებზე

19. სასოფლო საბჭოს ტერიტორია, რომლის მოსახლეობა 2.000 კაცს არ აღემატება, როგორც წესი, მიეკუთვნება ერთ საარჩევნო პუნქტს.

თვითეულ სოფელში, რომელშიაც ოთხასზე 500-დან 2.000-მდე მცხოვრები, იქმნება ცალკე საარჩევნო პუნქტი.

სოფელში ან სოფლის ჯგუფში, სადაც ოთხასზე 500-ზე ნაკლები მცხოვრები, მაგრამ არანაკლებ 300-ისა, თუ მანძილი ასეთი სოფლებიდან საარჩევნო პუნქტამდე 10 კილომეტრს აღემატება, შეიძლება შეიქმნას ცალკე საარჩევნო პუნქტები.

20. დაშორებულ რაიონებში, სადაც წერილი დასახლებული პუნქტები სპარბობენ, შეიძლება მოეწყოს საარჩევნო პუნქტები არანაკლებ 100 მცხოვრებისა.

მთიან და მომთაბარო ადგილებში შეიძლება შეიქმნას საარჩევნო პუნქტები 100-ზე ნაკლები მცხოვრებით, მაგრამ არა ნაკლებ 50-ისა.

21. სამხედრო ნაწილებში და ჯარის შენაერთებში მოეწყობა ცალკე საარჩევნო პუნქტები არანაკლებ 50 და არა უმეტეს 3.000 ამომრჩეველთა.

თავი IV

არჩევნების ორგანიზაცია

22. სახალხო სასამართლოების არჩევნებს აწყობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით.

23. ქალაქად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რაიონებად დაყოფილი ქალაქების მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებსა და სოფლად მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ევალებათ:

ა) რეგისტრაციის წარმოება სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებისა, რომლებიც წამოყენებული არიან საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონისა და ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით;

ბ) მომთაბარეებს საარჩევნო პუნქტებისა სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნებისათვის დაწესებული ფორმის საარჩევნო ბიულეტენებით;

გ) რწმენენებულების დანიშვნა საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად და ხმების დასათვლელად საარჩევნო პუნქტების მიხედვით;

დ) სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგების გამოქვეყნეა თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით;

ე) სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად არჩეულთათვის არჩევნის მოწმობების გაცემა;

ვ) განხილვა საჩივრებისა საარჩევნო პუნქტებში წარგზავნილ რწმენენებულთა არასწორი მოქმედების შესახებ.

24. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თვითეული კანდიდატისათვის მიეცემა ხმების დასათვლელად მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ქმნიან დამთვლელ კომისიას 5—7 კაცის შემადგენლობით თვითეულ საარჩევნო ოლქზე.

25. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თვითეული კანდიდატისათვის ყოველ საარჩევნო პუნქტში მიეცემიან ხმების დასათვლელად მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმენენებულთან შეიქმნება დამთვლელი კომისია 5 — 11 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

თავი V

სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის კანდიდატების წამოყენების წესი

26. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის კანდიდატებს წამოყენების უფლება უზრუნველყოფილი აქვთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა საზოგადოებებს: კომუნისტურ პარტიულ ორგანიზაციებს, პროფკავშირულ კავშირებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდობის ორგანიზაციებსა და კულტურულ საზოგადოებებს, აგრეთვე საერთო კრებებს მუშებისა და მოსამსახურეებისა—საწარმოებში და დაწესებულებებში, სამხედრო მოსამსახურეებისა — სამხედრო ნაწილებში, საერთო რაზებს გლეხებისა—კოლმეურნეობებში და სოფლებში, სამკალო მეურნეობების მუშებისა და მოსამსახურეებისა—სამკალო მეურნეობებში.

27. არჩევნებამდე არა უგვიანეს 25 დღისა ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომლებმაც წამოაყენეს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის კანდიდატები, ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გაატარონ ეს კანდიდატები მშრომელთა დეპუტატების რაიონულნი ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის ყველა კანდიდატი, რომელნიც წამოაყენეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა საზოგადოებებმა საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონისა და ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით.

28. საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომლებმაც წამოაყენეს სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატები, ვალდებულნი არიან წარუდგინონ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატის წამომყენებელი კრების ან სხდომის ოქმი, ხელმოწერილი პრეზიდიუმის წევრების მიერ, პრეზიდიუმის წევრების საცხოვრებელი ადგილის, კანდიდატის წამომყენებელი ორგანიზაციის სახელწოდება, კრების ან სხდომის ადგილისა, დროისა და მონაწილეთა რაოდენობის აღნიშვნით; ამასთანავე ოქმში აღინიშნება კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისი წლოვანება, საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა, საქმიანობა;

ბ) სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატის განცხადება, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში მისი წამომყენებელი ორგანიზაციის სახელით.

29. სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატს შეიძლება კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში.

30. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უარი სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებაზე შეიძლება განსაზღვრებულ იქნას ორი დღის ვადაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატე-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა
საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნებისა

(დასასრული)

ბის საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელთა გადაწყვეტილება საბოლოოა.

31. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თვითეული რეგისტრირებული კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, საქმიანობა, პარტიულობა და კანდიდატის წამომყენებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელწოდება ქვეყნდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ არა უგვიანეს 20 დღისა არჩევნებამდე.

32. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის ყველა რეგისტრირებული კანდიდატი აუცილებლად უნდა იქნას შეტანილი საარჩევნო ბიულეტენში.

33. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია არა უგვიანეს 10 დღისა არჩევნებამდე დაუგზავნოს ყველა საარჩევნო პუნქტებს საარჩევნო ბიულეტენები.

34. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება სახალხო მოსამართლის არჩევნებისათვის ცალკე და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისათვის ცალკე, თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით.

35. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება შესაბამისი საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ენაზე იმ რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ამომრჩეველს.

36. თვითეული ორგანიზაციისათვის, რომელმაც წამოაყენა მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში რეგისტრირებული კანდიდატი, ისე როგორც თვითეული მოქალაქისათვის, უზრუნველყოფილია უფლება დაუბრკოლებლად გასწიოს აგიტაცია ამ კანდიდატის სასარგებლოდ კრებებზე, პრესაში და სხვა საშუალებით, თანახმად საქართველოს სსრ კონსტიტუციის 138 მუხლისა.

თ ა ვ ი VI
ხმის მიცემის წესი

37. არჩევნების დღეს თვითეული საარჩევნო ოლქისათვის აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

არჩევნები მოხდება არა სამუშაო დღეს.

არჩევნების დღე ცხადდება არაუგვიანეს 45 დღისა არჩევნებამდე.

38. ამომრჩევლები ხმას აძლევენ არჩევნების დღის დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე ადგილობრივი დროით.

39. არჩევნების დღეს დილის 6 საათზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებული საარჩევნო პუნქტში, დამთვლელი კომისიის წევრების თანდასწრებით, ამოწმებს საარჩევნო ყუთებს და დაწესებული ფორმით შედგენილი ამომრჩეველთა სიის არსებობას, რის შემდეგ ხურავს და ლუქავს ყუთებს და იწვევს ამომრჩევლებს ხმის მიცემის დასაწყებად.

40. თვითეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად, რისთვისაც ცხადდება ხმის მიცემისათვის გამოყოფილ შენობაში. ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემა ხდება საარჩევნო ბიულეტენების ჩაშვებით საარჩევნო ყუთში.

41. საარჩევნო შენობაში გამოიყოფა საგანგებო ოთახები ან მოეწყობა ცალკე კაბინები, რომ ამომრჩევლებმა საარჩევნო ბიულეტენები შეავსონ. ამომრჩევლების მიერ საარჩევნო ბიულეტენების შევსების დროს ამ ოთახში ან კაბინაში აკრძალულია ვისიმე ყოფნა (მათ შორის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულისა და დამთვლელი კომისიის წევრებისა), გარდა ხმის მიმცემისა.

42. საარჩევნო შენობაში ხმის მისაცემად მოსული ამომრჩეველი მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულს ან დამთვლელი კომისიის წევრს წარუდგენს ან პასპორტს, ან საკოლმეურნეო წიგნაკს, ან პროფკავშირის ბილეთს, ან პირადობის სხვა მოწმობას და ამომრჩეველთა სიაში მისი შემოწმებისა და იმავე სიაში სათანადო აღნიშვნის შეტანის შემდეგ, ღებულობს საარჩევნო ბიულეტენს სახალხო მოსამართლის ასარჩევად და საარჩევნო ბიულეტენს სახალხო მსაჯულების ასარჩევად.

43. საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად გამოყოფილ ოთახში ამომრჩეველი თვითეულ საარჩევნო ბიულეტენში სტოვებს სახალხო მოსამართლის და სახალხო მსაჯულების იმ კანდიდატების გვარებს, რომლებსაც იგი ხმას აძლევს, დანარჩენების გვარებს შლის. ამის შემდეგ ამომრჩეველი საარჩევნო ყუთში უშვებს საარჩევნო ბიულეტენებს.

44. ამომრჩეველს, რომელსაც წერა-კითხვის უცოდინარობისა ან რაიმე ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენები, უფლება აქვს მოიწვიოს იმ შენობაში, სადაც საარჩევნო ბიულეტენები ივსება, რომელიმე სხვა ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად.

45. საარჩევნო აგიტაცია საარჩევნო შენობაში ხმის მიცემის დროს არ შეიძლება.

46. საარჩევნო შენობაში წესრიგის დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრება მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულს და მისი განკარგულებანი ყველა დამსწრისათვის სავალდებულოა.

47. არჩევნების დღეს, ღამის 12 საათზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებული ხმის მიცემას დამთავრებულად აცხადებს და დამთვლელი კომისია იწყებს საარჩევნო ყუთების გახსნას.

თ ა ვ ი VII
არჩევნების შედეგების გამორკვევა

48. შენობაში, სადაც სწარმოებს საარჩევნო პუნქტის მიხედვით ხმების დათვლა, ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებს, რომელთაც ეს სპეციალურად ექნებათ დავალებული, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს.

49. დამთვლელი კომისია ყუთების გახსნის შემდეგ ითვლის ბიულეტენებს, ადარებს ყუთებში ჩაშვებული ბიულეტენების რიცხვს და იმ პირთა რიცხვს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში (ბიულეტენების მიღების დროს ამომრჩეველთა სიაში გაკეთებულ აღნიშვნათა საფუძველზე), და შედარების შედეგები შეაქვს ხმის მიცემის ოქმში.

50. გაუქმებულად ითვლება:

ა) დაუწესებელი ნიმუშის ბიულეტენები;

ბ) სახალხო მოსამართლის არჩევნების ბიულეტენები, რომლებშიც ხმის მიცემის დროს დატოვებულია ერთ კანდიდატზე მეტი.

51. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებული ადგენს ოქმს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატებისათვის ამ საარჩევნო პუნქტში ხმის მიცემის შესახებ. ოქმს ხელს აწერენ რწმუნებული და დამთვლელი კომისიის ყველა წევრი.

52. საარჩევნო პუნქტში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) ხმის მიცემის დაწყებისა და დამთავრების დრო;

ბ) ამომრჩევლების რიცხვი სიის მიხედვით;

გ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომელთაც საარჩევნო ბიულეტენები მიიღეს;

დ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ხმის მიცემაში;

ე) რიცხვი გაუქმებულად ცნობილი ბიულეტენებისა, სახალხო მოსამართლის არჩევნებისა ცალკე და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისა ცალკე;

ვ) რიცხვი ბიულეტენებისა, რომლებშიც წაშლილია ყველა კანდიდატის გვარი, სახალხო მოსამართლის არჩევნებისა ცალკე და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისა ცალკე;

ზ) სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების თვითეული კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვი.

53. საარჩევნო პუნქტში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმს რწმუნებული დაუყოვნებლივ უგზავნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

54. ყველა საარჩევნო ბიულეტენი (ცალკე ნამდვილი და ცალკე გაუქმებულად ცნობილი) უნდა დაილუქოს და შესანახად ჩაბარდეს: ქალაქად — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონებად დაყოფილ ქალაქში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, სოფლად — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ევალება — შეინახოს საარჩევნო ბიულეტენები 3 თვის განმავლობაში არჩევნების დღიდან.

55. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საოლქო დამთვლელი კომისიები არკვევენ თვითეულ საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგებს საარჩევნო პუნქტებში წარგზავნილ რწმუნებულთა მიერ წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე.

ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებს, რომელთაც ეს სპეციალურად ექნებათ დავალებული, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს.

56. სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატი, რომელმაც მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, ე. ი. იმ ხმების ნახევარზე მეტი, რომლებიც მიცემულია ოლქში და ცნობილია ნამდვილად, არჩეულად ითვლება.

57. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საოლქო დამთვლელი კომისია ადგენს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატებისათვის საარჩევნო ოლქში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმს სამ ცალად. ოქმს ხელს აწერს დამთვლელი კომისიის ყველა წევრი.

58. საარჩევნო ოლქში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმში აღნიშნულ უნდა იყოს:

ა) ამომრჩეველთა საერთო რიცხვი ოლქში;

ბ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომელთაც მიიღეს საარჩევნო ბიულეტენები;

გ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ხმის მიცემაში;

დ) გაუქმებულად ცნობილი ბიულეტენების რიცხვი, სახალხო მოსამართლის არჩევნებისა ცალკე და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისა ცალკე;

ე) რიცხვი ბიულეტენებისა, რომლებშიც წაშლილია ყველა კანდიდატის გვარი, სახალხო მოსამართლის არჩევნებისა ცალკე და სახალხო მსაჯულების არჩევნებისა ცალკე;

ვ) სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თვითეული კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვი.

59. ხმების დათვლის დამთავრების შემდეგ მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვალდებულია გაუგზავნოს თვითეულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმის ერთი ცალი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ოქმის მეორე ცალი ერთდროულად ეგზავნება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს.

ოქმის მესამე ცალი, სახალხო სასამართლოს არჩევნების მთელ საქმისწარმოებასთან ერთად, რჩება მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საქმეებში.

60. თვითეულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმის ხელმოწერის შემდეგ მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს არჩევნების შედეგებს და აძლევს სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად არჩეულებს არჩევის მოწმობას, სახალხო მოსამართლედ არჩეულს აძლევს აგრეთვე ამ სახალხო სასამართლოსათვის არჩეული სახალხო მსაჯულების სიას, ხელმოწერილს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ.

61. თუ სახალხო მოსამართლის ვერცერთმა კანდიდატმა საარჩევნო ოლქში ვერ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და აცხადებს ხელახალ კენჭისყრას იმ ორი კანდიდატისათვის, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა. ხელახალი კენჭისყრის დღე დაინიშნება არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა არჩევნების პირველი ტურის შემდეგ.

62. თუ რიცხვი სახალხო მსაჯულების კანდიდატებისა, რომელთაც მიიღეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, ნაკლებია ასარჩევი სახალხო მსაჯულების დადგენილ რიცხვზე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იძლევა მითითებას ან ხელახალი კენჭისყრის დანიშვნის შესახებ, ან სახალხო მსაჯულთა რიცხვის შესაბამისი შემცირების შესახებ ამ საარჩევნო ოლქისათვის.

ხელახალი კენჭისყრა, თუ იგი საჭიროდ იქნა ცნობილი, დაინიშნება არა უგვიანეს ორი კვირისა არჩევნების პირველი ტურის შემდეგ. ხელახლა ეყრება კენჭი სახალხო მსაჯულთა იმ კანდიდატების საჭირო რიცხვს, რომლებმაც არჩევნების პირველ ტურში მიიღეს ყველაზე მეტი ხმების რიცხვი.

63. თუ საარჩევნო ოლქში მიცემული ხმების რაოდენობა შეადგენს იმ ამომრჩეველთა რიცხვის ნახევარზე ნაკლებს, რომელთაც ამ ოლქში ხმის მიცემის უფლება აქვთ, მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და ნიშნავს ახალ არჩევნებს არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა პირველი არჩევნების შემდეგ.

64. სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებისათვის ხელახალი კენჭისყრა, ისევე როგორც ახალი არჩევნები ნაცვლად არანამდვილ არჩევნებად ცნობილისა, მოხდება ამომრჩეველთა სიებით, რომლებიც შედგენილი იყო პირველი არჩევნებისათვის, და ამ დებულების სრულ შესაბამისად.

65. სახალხო მოსამართლის ვადამდე გასვლის შემთხვევაში (ამომრჩეველთა მიერ უკან გამოწვევა, გარდაცვალება, ინვალიდობა და სხვ.) სახალხო მოსამართლის ხელახალი არჩევნები მოეწყობა არა უგვიანეს ორი თვის ვადისა სახალხო მოსამართლის გასვლის დღიდან.

66. თუ სახალხო მსაჯულთა საგრძნობი რიცხვის გასვლის გამო დარჩენილ სახალხო მსაჯულთა რიცხვი არასაკმაო იქნება ამ სახალხო სასამართლოს ნორმალური მუშაობისათვის, მოეწყობა სახალხო მსაჯულების დამატებითი არჩევნები.

67. ყველა ის პირი, ვინც ძალადობისა, მოტყუებისა, მუქარისა ან მოსყიდვის გზით ხელს შეუშლის მოქალაქეს განახორციელოს თავისი უფლება — აირჩიოს და არჩეულ იქნას სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

68. თანამდებობის პირი, რომელიც სიყალბეს შეიტანს დოკუმენტებში ან განზრახ არასწორად დაითვლის ხმებს სახალხო სასამართლოების არჩევნების დროს, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

პარტიული ცხოვრება

საანგარიშო კრება თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა

საანგარიშო მოხსენებამ, რომელიც კასპის რაიონის სოფელ ქვემო გომის კოლმეურნეობა „მნათობის“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანმა ამხ. ზ. მჭედლიშვილმა გააკეთა პარტიულ კრებაზე, გაცხოველებული კამათი გამოიწვია. სიტყვით გამოსული კომუნისტები აღნიშნავდნენ, რომ საანგარიშო პერიოდში გაიზარდა პარტიული ორგანიზაციის როლი და ავტორიტეტი კოლმეურნეობაში; კომუნისტებმა, კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად, უზრუნველყვეს შრომის ორგანიზაციის მოწესრიგება მემინდვრეობის ბრიგადებში; განამტკიცეს შრომის დისციპლინა; ფართოდ დანერგეს გამოცდილება ამ კოლმეურნეობის წევრის სოციალისტური შრომის გმირის ამხ. სოფიო მარიდაშვილისა, რომელიც მაღალნაყოფიერად შრომობს საკოლმეურნეო მინდვრებზე, ზრდის თავის მოწაფეებს და სადეპუტატო მოღვაწეობასაც ეწევა. კოლმეურნეთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებამ ხელი შეუწყო სიმინდისა და შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღებას. კოლმეურნეობამ 16 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე ნაცვლად 160 ცენტნერისა 483 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღო. ამრიგად, ჭარხლის მოსავლიანობის ზრდის გეგმა 300 პროცენტით შესრულდა. ვ. ბიძინაშვილის ბრიგადამ 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 613 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიწია, ხოლო ს. ნატროშვილის რგოლმა ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16 ცენტნერისა 45 ცენტნერი სიმინდი.

მიღწევები ყველა დარგში უფრო მეტი იქნებოდა, პარტბიუროს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი რომ არ ყოფილიყო. აი რა თქვეს კოლმეურნე კომუნისტებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე:

სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. მარიდაშვილმა აღნიშნა, რომ პარტბიურო სუსტად იბრძოდა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესების დამუშავებაში მოწინავე აგროტექნიკურ მოთხოვნათა გასატარებლად, პარტბიურომ ვერ უზრუნველყო ყველა კომუნისტის აქტიურ პარტიულ მუშაობაში ჩაბმა, 20 კომუნისტიდან პარტიული დავალება მიცემული არა აქვს 9 კომუნისტს. ამასთან ერთად ამხ. მარიდაშვილმა წამოაყენა პრაქტიკული წინადადებანი შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მისაღებად.

კომკავშირისადმი არასაკმაო პარტიულ ხელმძღვანელობაზე, აგიტატორების მარგარიტა მარიდაშვილისა და ნ. დეისაძის ცუდ მუშაობაზე, მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებისადმი უყურადღებობაზე კრიტიკული სიტყვები წარმოთქვეს კომუნისტებმა თ. როსებაშვილმა, ვ. მანჯგალაძემ, ი. კაციაშვილმა, არ. ზავრადაშვილმა, ს. ნატროშვილმა, ე. კაციაშვილმა და კასპის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. ზ. ჭიჭინაძემ.

საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის დამაკმაყოფილებლად შეფასების შემდეგ, კრებამ დახურული (ფარული) კენჭისყრით პარტბიუროში აირჩია 5 კაცი; რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატად არჩეულია სოციალისტური შრომის გმირი სოფიო მარიდაშვილი.

ს. ყურაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

პროპაგანდისტთა რაიონული თათბირი

გურჯაანი. („კომუნისტის“ კორ.). რაიკომის პარტკაბინეტში შედგა პროპაგანდისტთა რაიონული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსისა“ და ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების, პოლიტსკოლების პროპაგანდისტები და ზოგადი განათლების სკოლების მასწავლებლები.

თავისი მუშაობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის პირველადი პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლის პროპაგანდისტი ამხ. გ. ზაზაშვილი, რომელმაც თათბირის მონაწილეებს მოუთხრო თავისი მუშაობის გამოცდილებაზე, კერძოდ, როგორ მუშაობს იგი მსმენელთათვის გადასაცემი მასალის მოსამზადებლად, როგორ იყენებს წრის მუშაობის პროცესში თვალსაჩინო მასალებს — რუკებს, დიაგრამებს, ალბომებს და სხვ.

შეკრებილთ თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს პროპაგანდისტებმა რ. სონღულაშვილმა, მ. ქუმსიაშვილმა, ი. კარაპეტოვმა და სხვებმა. თათბირზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ალ. ზარნაძე.

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

ტექნიკური კონსულტაცია გაზეთში

გაზეთი „ჭიათურის მაღაროელი“ თავის ფურცლებზე „ტექნიკური კონსულტაციის“ რუბრიკით ბეჭდავს მასალებს მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია მარგანეცის დამუშავების სპეციფიკურობასთან. ამ დღეებში გაზეთმა დაბეჭდა მარგანეცის ტრესტის მთავარი ინჟინერ-გამაუხვებლის ამხ. კ. ჯინჭველაშვილის წერილი სათაურით: „რა უნდა იცოდეს მარგანეცის მადნის სამტვრევ მანქანაზე მომუშავემ“.

ავტორი აღნიშნავს მარგანეცის დამტვრევის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე რთული პროცესის მნიშვნელობას, განმარტავს დამტვრევის წესებს და შემდეგ ჩერდება სამტვრევების დახასიათებაზე.

„მარგანეცის მადნის ფიზიკური თვისებების მიხედვით, — სწერს ამხ. ჯინჭველაშვილი, — ჭიათურის გამამდიდრებელ ფაბრიკებში იხმარებიან:

1) ყბებიანი სამტვრევები — მოძრავი ყბებით,

2) ჟირაციული ანუ კონუსის სამტვრევები — ექსცენტრიულად მბრუნავი მუშა ნაწილებით, რომლებიც წარმოადგენენ კონუსს. ასეთი ტიპის სამტვრევები გაცილებით კარგ შედეგს იძლევიან მარგანეცის დაწვრილერთეულების საქმეში, ვინემ სხვა ტიპის სამტვრევები;

3) კბილა ვალცებიანი სამტვრევები, რომლებიც ბრუნავენ ერთიმეორის საწინააღმდეგო მიმართულებით“.

ავტორს თავისი კონსულტაცია გამიზნული აქვს სამტვრევებზე მომუშავე მუშებისათვის, რომლებიც ვალდებული არიან ზედმიწევნით იცნობდნენ სამტვრევების მუშაობის პრინციპებსა და მათ ცალკეულ ნაწილებს. შემდეგ წერილში ვრცლად არის მოთხრობილი როგორც აღნიშნული მანქანების მუშაობის პრინციპები, ისე ცალკე ნაწილთა დახასიათება. ასეთი ხასიათის წერილები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მუშებს ტექნიკის ათვისებასა და მის ჯეროვან გამოყენებაში.

დეპუტატები ამომრჩეველთა განაწესს ასრულებენ

ამ სათაურით ბეჭდავს წერილს თელავის რაიონული გაზეთი „კოლმეურნის ხმა“. კორესპონდენციის ავტორი ფართოდ აშუქებს მშრომელთა დეპუტატების კონდოლის სასოფლო საბჭოს მოწინავე დეპუტატთა საქმიანობას და წერს:

„სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა თავიდანვე ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ამომრჩეველთა განაწესის შესრულებას. დეპუტატმა შალვა ბინიაშვილმა სასოფლო საბჭოს სესიაზე შეიტანა წინადადება სოფელში არტეზიული ჭის გათხრის შესახებ. სესიამ მიიღო ეს წინადადება. მალე მუშაობაც დაიწყო და აი, კონდოლელთა დიდი ხნის ოცნება სინამდვილედ იქცა. 142 მეტრის სიღრმიდან ამოხეთქა ხუფთა წყლის შადრევანმა, რომლის სადღეღამისო დებიტი 900 ათას ლიტრს უდრის. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება არტეზიული წყლის ბაზაზე სოფელში აგოს 40 არქიტექტურულად გაფორმებული წყარო“.

სასოფლო საბჭომ ასევე წარმატებით განახორციელა დეპუტატ ა. ქებაძის წინადადება სოფელში ელექტროგანათების მოწყობის შესახებ, რაც ამომრჩეველთა თხოვნით მან სასოფლო საბჭოს სესიაზე შეიტანა. გაზეთი ამის შესახებ წერს:

„...6 ნოემბერს ჩაირთო პირველი ელექტროკოოპერატივი ალაზანჰესის მაღალი ძაბვის ხაზზე. ამ ღამეს 50 კოლმეურნის ოჯახში აინთო ილიჩის ნათურები. მალე დამთავრდება დანარჩენი 8 კიოსკის მშენებლობაც“.

გარდამავალი დროშები კარგი მუშაობისათვის

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა მიმდინარე წლის მესამე კვარტალში გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიიღო პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.

კომბინატის კოლექტივისათვის გარდამავალი დროშის საზეიმო გადაცემა შედგა 20 ნოემბერს. ამავე დროს კომბინატის 49 მოწინავე სტახანოველს გადაეცა ქების სიგელი.

* * *

მახარაძე, (საკ. კორ.). კავშირგაბმულობის მახარაძის რაიონული კანტორის კოლექტივს მიმდინარე წლის სამი კვარტალის განმავლობაში მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის ამას წინათ გადაეცა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესოდ მოვაწყოთ პირუტყვის გამოზამთრება

მეცხოველეობა ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდისათვის. განუწყვეტლივ მატულობს რაიონში საზოგადოებრივი მეცხოველეობის ხვედრითი წონა, უმჯობესდება პირუტყვის მოვლა, იზრდება პროდუქტიულობა, მეტი ყურადღება ექცევა პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას, კვების უკეთესად მოწყობას, ზოოტექნიკურ და ზოოვეტერინარულ ღონისძიებათა განხორციელებას.

ამჟამად რაიონის კოლმეურნეობებს ფერმებში უკვე ჰყავთ 130.000 სულამდე მსხვილფეხა რქიანი საქონელი, აგრეთვე ცხვარი, თხა, ღორი, ცხენი და სხვ. მარტო შარშან ხორცის დამზადების ანგარიშში კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 3.000 სულამდე პირუტყვი. წელს მხოლოდ თხა და ცხვარი ჩაბარებულია 2.000-ზე მეტი სული და გარდა ამისა, მსხვილფეხა რქიანი საქონელი.

მეცხოველეობაში მდგომარეობის გაუმჯობესებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის 19 აპრილის დადგენილებამ. კოლმეურნეობებში შეიცვალა მეცხოველეობის დარგში მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ძველი წესი. შრომის ანაზღაურება ახლა ხდება მიღებული რძის, ნაპარსი მატყლის, მოზარდეულის მიღებისა და გამოზრდის, მუშა და პროდუქტიული პირუტყვის წონის მატებისა და ნასუქობის მიხედვით. ეს დადგენილება ფართოდ გაიცნეს მეცხოველეობის დარგის მუშაკებმა. მათ ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია რაიონის 400-მდე აგიტატორმა. მწყემსებთან საძოვრებზე აგიტაციის მოწყობის საქმეში განსაკუთრებით კარგად იმუშავეს აგიტატორებმა გრ. ბარამიძემ, ა. შავხელიშვილმა, დ. ომიაძემ და სხვებმა.

კოლმეურნეთა მხრივ მიმდინარე წელს მეცხოველეობაში გაწეულ ნაყოფიერ მუშაობას ნათლად ადასტურებენ შემდეგი მაჩვენებლები: ცხვრისა და თხის სულადობის ზრდის 1948 წლის გეგმა კოლმეურნეობებში უკვე შესრულებულია 131,6 პროცენტით, ღორისა — 118 პროცენტით, ცხენისა — 103,6 პროცენტით.

მეცხოველეობის განვითარების საქმეში საუკეთესო შედეგებს მიაღწია ზემო ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ლ. პაჩოშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ბორძიკიძე). ენერგიულად იბრძვის მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია, იგი სისტემატურად იხილავს როგორც საერთოდ კოლმეურნეობის განმტკიცებისა და გაძლიერების, ისე კერძოდ მეცხოველეობის განვითარების საკითხებს. მაგალითად, მიმდინარე წლის აპრილში პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა საკითხი პირუტყვის მოვლა-პატრონობის შესახებ. კრებამ მკაცრად გააკრიტიკა ფერმებში არსებული მდგომარეობა, ამხილა ცალკეული მუშაკების უდარდელობა, საქმის გასაუმჯობესებლად დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი და მათი უკეთ განხორციელების მიზნით ფერმებისათვის დამხმარედ გამოჰყო მოწინავე კომუნისტები. მწყემსებთან სააგიტაციო მუშაობა გააძლიერეს აგიტატორებმა ი. ქაძემ, გ. არსენიშვილმა, ა. ზალიშვილმა და მ. შავხელიშვილმა. გაიზარდა პასუხისმგებლობა ფერმებში, მეტი ყურადღება მიექცა ზოოტექნიკურ ღონისძიებათა გატარებას, შემცირდა პირუტყვის ავადმყოფობა და სიკვდილიანობა. ასეთი მუშაობის შედეგად კოლმეურნეობაში წელს თვითეულ ცხვარზე მიღებულია 4,5 კილოგრამი ყველი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4 კილოგრამისა. იმატა მატყლმა, გაიზარდა ძროხების წველადობა. შრომადღეზე წელს უფრო მეტი ნაწილდება ყველი, მატყლი და ხორცი, ვიდრე გასულ წელს. სულ განაწილდება 35 ტონამდე ყველი, ამდენივე მატყლი და 120 ტონამდე ხორცი.

ასეთივე კარგი მაჩვენებლები აქვთ მოპოვებული მეცხოველეობაში სოფელ დუისის ვოროშილოვის სახელობისა და სოფელ საკობიანოს პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობებს.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მხრივ თავი ისახელეს სოფელ ზემო ალვანის დიმიტროვის სახელობისა და სოფელ ვეძების კოლმეურნეობებმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა დიდი მუშაობა გასწიეს საზამთრო იალაღებზე ცხვრის გარეკვასთან დაკავშირებით. მეტი ყურადღება მიექცა ცხვრის პარსვას, განერჩვას და ფარების დანიშნულ ადგილებზე დროულად დაბინავებას. პარტიულმა ორგანიზაციებმა და მეცხოველეობის დარგის მუშაკებმა დროულად გაითვალისწინეს აღნიშნულ სამუშაოთა წარმატებით ჩატარების მნიშვნელობა, წესრიგში მოიყვანეს ბინები, მოიმარაგეს უხეში და კონცენტრირებული საკვები, მიიღეს ყველა ზომა ცხვრის გარეკვის უკეთ მოწყობისათვის.

პარტიის რაიონული კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ, აგრეთვე რაისაბჭოს აღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილებამ პირუტყვის გარეკვასთან დაკავშირებით ადრევე ჩაატარეს მოსამზადებელი მუშაობა, შეარჩიეს მეცხვარეებთან სამუშაოდ საუკეთესო აგიტატორები და პროპაგანდისტები, გამოჰყვეს სათანადო რაოდენობის ჟურნალ-გაზეთები და სხვა ლიტერატურა. ზემო ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობამ მწყემსებისათვის შეიძინა რადიომიმღები. რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ მწყემსების საექიმო მომსახურებისათვის გამოჰყო სამედიცინო პერსონალი და საკმაო რაოდენობის სამედიცინო ლიტერატურა. რაიონის კოლმეურნეობებმა დროულად მოამარაგეს მწყემსები ნაბდებით, ფეხსაცმლით, ტანსაცმლით, ჭურჭლითა და ხელსაწყოებით, კარგად მოაწყვეს ცხვრის პარსვა, გაბანება. კოლმეურნეობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა წამყვანი როლი შეასრულეს ამ საქმეში. მაგალითად, ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ ეს საკითხი ჯერ კიდევ 17 სექტემბერს განიხილა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს აგრეთვე ზემო ალვანის ბერიას სახელობის, კოლოთის ჩარკვიანის სახელობის და სხვა კოლმეურნეობათა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. წინა წლებში საზამთრო საძოვრებზე ცხვარი ბევრგან ცუდ ამინდშიც ცის ქვეშ იყო, ამასთან საკვებიც მცირე რაოდენობით ჰქონდათ. წელს გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა თივაა დამზადებული.

კოლმეურნეობებმა სათანადო ყურადღება მიაქციეს საზამთრო ბინების მშენებლობას, ადგილებზე მსხვილფეხა რქიანი საქონლისათვის დამატებით 8 სადგომი ააგეს, ცხვრისა და თხისათვის — 2, ხოლო ღორისათვის — 3 ბინა. ამ მხრივ კარგი მუშაობა ჩაატარეს სოფელ დუმასტურის, ქვემო ხალაწნის, ქორეთის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა. ახალი ბინების მშენებლობასთან ერთად სერიოზული ყურადღება მიექცა ძველი ბინების შეკეთებას და მათს წესრიგში მოყვანას. ამ მიზნით თვითეულ კოლმეურნეობაში წინასწარ გამოიყო შემკეთებელი ბრიგადები, მასალები და დამხმარეები. ბინებში ცალკე მოწყობილი სახბორეები, საბმურები, საკვები ბაგები.

ბევრგან განსაკუთრებით კარგად იმუშავეს სილოსის დამზადებისათვის. სოფელ ქისტაურის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა" გეგმით გათვალისწინებული 60 ტონის ნაცვლად 65 ტონა სილოსი დაამზადა. სილოსი ბევრი მოიმარაგეს აგრეთვე ზემო ხოდაშნის ბერიას სახელობის, აწყურის ლენინის, ახმეტის მარქსისა და პირველი მაისის, მატნის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებმა.

მაგრამ ზოგან ამ მხრივ ჩამორჩენაა. სილოსის დამზადების გეგმა მთლიანად არ შეუსრულებიათ სოფელ ჯოყოლოს სტალინური კონსტიტუციის სახელობის (თავმჯდომარე ს. მორჩაშვილი), დუმასტურის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის (თავმჯდომარე ი. კოჩიევი), სოფელ საბერიოს სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ლ. ბაბიაშვილი) კოლმეურნეობებს.

ეს სერიოზული ჩამორჩენა დროულად უნდა გამოვასწოროთ. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ ყველა სახის პირუტყვი უზრუნველყოფილ იქნას საკმაო რაოდენობისა და კარგი ხარისხის საკვებით, არ დაუშვან პირუტყვის დაავადება, მიაღწიონ მისი მოვლისა და დაცვის შემდგომ გაუმჯობესებას, პროდუქტიულობის განუწყვეტელ ზრდას.

ერთი წუთითაც არ უნდა დავკმაყოფილდეთ მოპოვებული წარმატებებით, დროულად ვამხილოთ და გამოვასწოროთ რაიონში არსებული ჯერ კიდევ არც ისე მცირე ნაკლოვანებანი: რაიონის კოლმეურნეობებში ჩამორჩენილია მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის ზრდის 1948 წლის გეგმის შესრულება, განსაკუთრებით ძროხების სულადობის დარგში. ეს პირველ რიგში ითქმის სოფელ მატნის მახარაძის სახელობის (თავმჯდომარე ვ. ჩიგილაშვილი), სოფელ ჩაბინაანის ბაქრაძის სახელობის (თავმჯდომარე ვ. ფიცხელაური) და სოფელ ეხვეტილას (თავმჯდომარე ზ. ჯიბილაური) კოლმეურნეობებზე. მეცხოველეობის ფერმები დროულად უნდა შევავსოთ პირუტყვით.

ახმეტის რაიონის მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ, რათა შეასრულონ მეცხოველეობის განვითარების გეგმა, გააუმჯობესონ პირუტყვის მოვლა-პატრონობა, გაადიდონ მისი პროდუქტიულობა.

დ. მირიანაშვილი
საქართველოს კ. პ. (ბ) ახმეტის რაიკომის მდივანი

მივცეთ სამშობლოს ციტრუსოვანთა ნაყოფი გეგმის გადამეტებით

ისე როგორც ჩვენი რესპუბლიკის ყველა კოლმეურნემ, ჩვენი კოლმეურნეობის ყველა წევრმა სერიოზული ვალდებულებანი იკისრა დიდი სტალინისადმი გაგზავნილი წერილით. ჩაი, ციტრუსები და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურები ჩვენი შეძლებული ცხოვრების ძირითადი წყაროა. დიდ სტალინს ჩვენ პირობა მივეცით სულ უფრო გაგვეზარდა ციტრუსოვანთა მოსავლიანობა, მიგვეღწია სარეკორდო მაჩვენებლებისათვის.

შეჯიბრებაში ჩაება ის ბრიგადაც, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. ყველა ერთი აზრით შეუდგა მუშაობას — აუცილებლად შეგვესრულებინა დიდი სტალინისადმი მიცემული პირობა.

წელს ციტრუსოვანთა პლანტაცია გაცილებით უკეთ დავამუშავეთ, ვიდრე წინათ. შრომაც უკეთესად მოვაწყეთ, ცალკეულ კოლმეურნეს მოსავლელად მივუჩინეთ ციტრუსების ხეების გარკვეული ჯგუფი, რამაც გაზარდა მათი პასუხისმგებლობა ციტრუსების მოვლის მხრივ. ჩვენს ბრიგადაში განსაკუთრებით თავი ისახელა რგოლმა, რომელსაც ვლადიმერ მიმინოშვილი ხელმძღვანელობს. ამ რგოლს მიჩენილი აქვს 8 ჰექტარი მანდარინისა და 2 ჰექტარი ლიმონისა და ფორთოხლის პლანტაცია. მიმინოშვილის რგოლმა ციტრუსოვანთა შებარვა და სასუქის შეტანა დაამთავრა თებერვალში, ყოველი ძირი ციტრუსი გაანოყიერა 40-50 კილოგრამი ნაკელით და გათვალისწინებული დოზის მინერალური სასუქით. გარდა ამისა, ციტრუსოვანთა პლანტაციაში რგოლმა დათესა სიდერანტები ანუ „მწვანე სასუქი" — ხანჭკოლა.

ამის შემდეგ რგოლმა მოაწყო ფარიანების წინააღმდეგ წამლობა, რაც მიმდინარეობდა მარტის მეორე ნახევრიდან ყვავილობის დაწყებამდე, წამლობა მიმდინარეობდა ზეთოვანი ემულსიის კონცენტრატებით. ზაფხულის პერიოდში რგოლის წევრებმა ყოველი ძირი ოთხჯერ შემოთოხნეს, რის შედეგად ნიადაგი მუდამ გაფხვიერებული იყო. მცენარეს რომ მეტი ყვავილი შეენარჩუნებია, რგოლმა ყვავილობის პერიოდში ჩაატარა ციტრუსოვანთა ძირების დამულჩვა გვალვის საწინააღმდეგოდ.

ასეთი მოვლის შედეგად ეს რგოლი ციტრუსოვანთა უხვ მოსავალს იღებს. ასევე კარგად დამუშავდა ჩვენი ბრიგადისათვის მიჩენილი ციტრუსების ყველა პლანტაცია. ხშირია შემთხვევა, როდესაც თვითეულ ძირ მანდარინის ხეს 2.000-2.500 ცალი ნაყოფი ასხია.

ნაყოფიერი შრომის საუკეთესო შედეგები გვიჩვენეს ჩვენი ბრიგადის წევრებმა ალექსანდრე გოგოტიშვილმა, მელიტონ გუჯაბიძემ, ბენო მიმინოშვილმა და სხვებმა. თვითეულ მათგანს 700-1.000 ძირი ციტრუსის ხე აქვს მიჩენილი

ბეჯითმა შრომამ საუკეთესო შედეგები მოგვცა. ჩვენი კოლმეურნეობა წელს სახელმწიფოს 17.700.000 ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს აბარებს, აქედან ჩვენი ბრიგადის წილად 4.000.000 ცალი მოდის, ნაცვლად შარშანდელი 2.600.000 ცალისა.

ჩვენ ყოველდღიურად ვტყობილობთ, რომ მოწინავე კოლმეურნეობები და ბრიგადები ვალდებულებას კისრულობენ გეგმის გადამეტებით მისცენ სახელმწიფოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ჩვენი ბრიგადის წევრებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცენ 1.200.000 ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი. ამრიგად, მარტო ჩვენი ბრიგადა სახელმწიფოს მისცემს 5.200.000 ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს.

ამჟამად პლანტაციებში მასობრივად მიმდინარეობს ციტრუსების კრეფა. ბეჯითი შრომის შედეგად ჩვენ უხვ მოსავალს ვიღებთ.

მოვუწოდებთ მეციტრუსე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლმეურნეებსა და მუშებს, მერგოლურებსა და ბრიგადირებს, განყოფილებათა გამგეებსა და მეციტრუსე სპეციალისტებს მიბაძონ მეჩაიეთა, მევენახეთა და მეთამბაქოეთა შესანიშნავ პატრიოტულ თაოსნობას და წლიური გეგმის გადამეტებით მივცეთ სახელმწიფოს ციტრუსოვანთა მეტი ნაყოფი.

არტემ მახარაძე
მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეციტრუსე ბრიგადირი

ლაო ჩაის დამზადება

ლაო ჩაის დამზადების რესპუბლიკური გეგმა 20 ნოემბრისათვის შესრულებული იყო 50,8 პროცენტით.

ლაო ჩაის დამზადების გეგმა ბათუმის რაიონში შესრულებულია 73,3 პროცენტით, ქობულეთის — 59,3, გალის — 30,9, ოჩამჩირის — 26,4, გუდაუთის — 1,4, მახარაძის — 68,4, ჩოხატაურის — 44,1, ლანჩხუთის — 52,9, სამტრედიის—7, წულუკიძის—25, ქუთაისის—0,8, წყალტუბოს—38,8, ტყიბულის—112,2, ცხაკაიას—64,7, აბაშის — 69,5, გეგეჭკორის — 47,7, ზუგდიდის — 77, წალენჯიხის — 25,2, ჩხოროწყუს—9,8, ხობის რაიონში—28,2 პროცენტით.

ქობულეთის, გუდაუთის, მახარაძის, ტყიბულის და გეგეჭკორის რაიონების ცნობები არასრულია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია

პლენუმის დღის. წესრიგშია საბჭოთა წინადადებანი ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ

პარიზი, 18 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს საღამოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენუმი შეუდგა ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ საბჭოთა წინადადებების განხილვის შედეგებზე პოლიტიკური კომიტეტის მოხსენების განხილვას.

პარიზის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა ამ წინადადებებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური კომიტეტის მოხსენების განხილვა გვიან დაიწყო, პლენუმის სხდომის დარბაზში საზოგადოებისა და პრესის წარმომადგენლებისათვის განკუთვნილი ადგილები სავსე იყო.

პლენუმის წინაშეა რეზოლუციის ორი პროექტი. საბჭოთა პროექტი, მარტივი და ნათელი, ითვალისწინებს, რომ ატომური იარაღი აკრძალულ უნდა იქნას როგორც იარაღი, რომელიც გათვალისწინებულია აგრესიული მიზნებისათვის და არა თავდაცვისათვის. შემდეგ პროექტი ითვალისწინებს, რომ უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრებმა, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საქმეში პირველი ნაბიჯის სახით, ერთი მესამედით უნდა შეამცირონ ერთი წლის მანძილზე მთელი არსებული სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალები. დასასრულ, საბჭოთა კავშირის დელეგაცია წინადადებას იძლევა, რომ უშიშროების საბჭოს ფარგლებში დაწესდეს საერთაშორისო საკონტროლო ორგანო, რომელიც მეთვალყურეობასა და კონტროლს გაუწევს აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებას. ამ საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს უნდა წარედგინოს სრული ოფიციალური ცნობები უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების მდგომარეობის შესახებ.

რეზოლუციის საბჭოთა პროექტს უპირისპირდება პოლიტიკური კომიტეტის ინგლის-ამერიკის უმრავლესობის მიერ მომზადებული პროექტი; ეს მეორე პროექტი არაფერს არ ითვალისწინებს რამდენადმე რეალურ ნაბიჯებს ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირებისათვის, არამედ, პირიქით, შეიცავს ფაქტიურ უარს შეიარაღების რაიმე შეზღუდვაზე. შეიარაღების შემცირების განხორციელებას იგი დამოკიდებულს ხდის... „საერთაშორისო ურთიერთობათა ნამდვილი და ხანგრძლივი გაუმჯობესების ატმოსფეროს" დამყარებაზე. თითქოს ცხადი არ იყოს, რომ შეიარაღების ნამდვილი შემცირება მხოლოდ ხელს შეუწყობდა ასეთი ატმოსფეროს დამყარებას.

თუმცა დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლები პოლიტიკურ კომიტეტში 22 სხდომის მანძილზე ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ჩირქი მოეცხოთ საბჭოთა წინადადებებისათვის, დაეჩრდილათ ისინი სსრ კავშირისადმი მტრული პროპაგანდის კვამლის საფარით, ეს წინადადებანი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის თვალში მაინც ურყევი დარჩა.

აი ამიტომ მაშინვე, როგორც კი პოლიტიკური კომიტეტის მომხსენებელმა სარპერმა (თურქეთი) პლენუმს წარუდგინა ინგლის-ამერიკის უმრავლესობის მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტი, ინგლის-ამერიკის ბლოკის მთელმა რიგმა წარმომადგენლებმა მოითხოვეს სიტყვა, რათა განეახლებინათ გალაშქრება რეზოლუციის საბჭოთა პროექტის და მასთან ერთად სსრ კავშირის წინააღმდეგ.

ფილიპინების წარმომადგენელმა რომულომ თავისი გამოსვლა დაიწყო ფარისევლური სინანულით, რომ პოლიტიკური კომიტეტისათვის წარდგენილი პროექტი წარმოადგენს მხოლოდ „ძალიან მორიდებულ ნაბიჯს" და „იმედის დიდ გაცრუებას იწვევს იმის გამო, რომ მიღწეული არ არის რაიმე უფრო რეალური". მაგრამ იქვე რიხიანმა ფილიპინელ-ამერიკელმა გენერალმა თავის საწინააღმდეგოდ განაცხადა, რომ პოლიტიკური კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი წარმოადგენს „მიღწევათა მაქსიმუმს", და იერიში მიიტანა... რეზოლუციის საბჭოთა პროექტზე, რომელიც სრულ შესაძლებლობას ქმნიდა მიღწეულიყო რეალური შედეგები შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საქმეში.

რომულომ საჭიროდ ჩასთვალა თითქმის სიტყვა-სიტყვით გაემეორებინა თავისი ამერიკელი ბატონების ძველი ცილისმწამებლური მტკიცებანი, თითქოს სსრ კავშირმა „შეინარჩუნა მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები". მაშინ როცა „დასავლეთის სახელმწიფოები სწრაფად განიარაღდნენ". მან განაცხადა, რომ დასავლეთი სახელმწიფოები ახლა „იძულებული არიან აღადგინონ ძალები, რათა დაიბრუნონ წონასწორობა". ამრიგად, დაიწყო რა ფარისევლური სინანულით, რომ შეიარაღების შემცირება არ ხორციელდება, რომულომ დაასრულა... გამალებული შეიარაღების მოწონებით.

ბრაზილიის დელეგატი გამოვიდა აგრეთვე რეზოლუციის საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ. დაამახინჯა რა მისი შინაარსი, იგი ამტკიცებდა თითქოს საბჭოთა პროექტი არ ითვალისწინებს საერთაშორისო საკონტროლო ორგანოსათვის „კონტროლის საკმაო უფლებების" მინიჭებას. იგი აგრეთვე ამტკიცებდა, რომ საბჭოთა წინადადება დიდ სახელმწიფოთა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ერთი მესამედით შემცირების შესახებ განუხორციელებელია, ვინაიდან სხვადასხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძლიერება ემყარება სხვადასხვა სახის შეიარაღებულ ძალებს, ამასთან, შემცირების შემდეგ „საზღვაო და საჰაერო ძალების აღდგენა ძნელია, ხოლო სახმელეთოსი ადვილიაო".

ვრცელი სიტყვით გამოვიდა ბელგიის დელეგატი როლენი. მან მიმართა დასავლეთი სახელმწიფოების დიპლომატთა შორის გავრცელებულ მოკრივეთა ტერმინოლოგიას და განაცხადა, რომ იწყება დებატების „მეოთხე რაუნდი" შეიარაღების შემცირების შესახებ. როგორც ცნობილია, პოლიტიკურ კომიტეტში, ხოლო შემდეგ მის ქვეკომიტეტში და, ბოლოს, კვლავ პოლიტიკურ კომიტეტში წინა „სამ რაუნდში" როლენი და მისი კოლეგები ინგლის-ამერიკის ბლოკიდან სამჯერ იქნენ ნოკაუტირებულნი საბჭოთა დელეგაციის მიერ, რომელმაც დამაჯერებლად ცხადყო ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების წინააღმდეგ მათი საბუთების სრული უნიადაგობა, ამასთან ისინი არა ერთხელ იქნენ მხილებულნი ფაქტების დამახინჯებაში.

მაგრამ მიღებულ გაკვეთილებს შედეგი არ მოუტანია ბელგიის დელეგაციისათვის და დღეს იგი კვლავ ამახინჯებდა ფაქტებს. როლენი ცდილობდა დაემტკიცებინა საბჭოთა წინადადებათა მიუღებლობა და ამტკიცებდა, თითქოს სსრ კავშირის დელეგაცია, გამოდის რა ატომური იარაღის აკრძალვის სასარგებლოდ, ითვალისწინებს... ამ იარაღის წარმოებისა და მარაგის შენარჩუნების გაგრძელებას „მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის წარმოების სახით". როლენმა გაიმეორა საბჭოთა დელეგაციის მიერ ადრევე მხილებული მტკიცება, თითქოს სსრ კავშირი წინადადებას იძლეოდა, რომ ხუთ დიდ სახელმწიფოს შეიარაღება ერთი მესამედით შეემცირებინათ მხოლოდ ერთი წლით... „ცდის სახით".

როლენი მეტად არადამაჯერებლად ცდილობდა გაელაშქრებინა ვიშინსკის წინააღმდეგ, რომელმაც პოლიტიკურ კომიტეტში ანალოგია გაატარა ომში მახრჩობელა გაზების გამოყენების აკრძალვის შესახებ ცნობილ საერთაშორისო კონვენციასა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ სსრ კავშირის მიერ შემოტანილ კონვენციას შორის. მან გაილაშქრა საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ და დაიმოწმა, რომ ფაშისტურმა იტალიამ 1936 წელს დაარღვია კონვენცია და გაზები გამოიყენა აბისინიის წინააღმდეგ ომში.

ბელგიის დელეგატმა განაცხადა, რომ შეიარაღების შემცირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა შეიქმნება საერთაშორისო კონტროლის სისტემა, და მას შემდეგ, როცა მიღებული, გამოქვეყნებული და შემოწმებული იქნება ამომწურავი ცნობები სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღების შესახებ. მაგრამ ამ შემთხვევისათვისაც როლენი, რომელსაც უყვარს თავის თავს „პაციფისტი" უწოდოს, თავის დასაძვრენს სტოვებს იმათთვის, ვინც არ მოისურვებს თავის შეიარაღების შემცირებას. მან სთქვა, რომ „ზოგიერთებისათვის ეს იქნებოდა შეიარაღების ერთი მესამედით შემცირება, სხვებისათვის — ერთი მეოთხედით, ხოლო ზოგიერთებისათვის შესაძლოა საჭირო არ გახდეს შეიარაღების რაიმე შემცირება".

როლენი ერთხელ კიდევ შეეცადა გამიჯნოდა მის მიერ თავის დროზე გაკეთებულ აღიარებას, რომ „საპარლამენტო ქვეყნებში" შეიარაღების შესახებ ყველა ცნობა როდი ქვეყნდებაო.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვიშინსკიმ ერთ-ერთ თავის გამოსვლაში დაიმოწმა როლენის ეს აღიარება, რის შემდეგ ბელგიის დელეგაცია ორჯერ, ორჯერვე ძალიან უხეიროდ, შეეცადა უარეყო ეს აღიარება. მაგრამ დიდი ხანია ცნობილია, რომ „სიტყვა ბეღურა როდია, გაფრინდეს და შემდეგ კვლავ დაიჭირო".

ომის გამჩაღებელთა პოლიტიკას უპირისპირდება მშვიდობის მომხრეთა პოლიტიკა

სსრ კავშირის დელეგაცია განაგრძობს ბრძოლას ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირებისათვის

პარიზი, 19 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს დილით გენერალური ასამბლეის პლენუმი დიდძალი საზოგადოებისა და პრესის წარმომადგენლების თანდასწრებით განაგრძობდა პოლიტიკური კომიტეტის მოხსენების განხილვას ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ საბჭოთა წინადადებების განხილვის შედეგებზე.

სხდომის მიმდინარეობაში გარკვევით აღინიშნა ზღვარი ორი ბანაკის — დემოკრატიული ძალების ბანაკისა და იმპერიალისტური ძალების ბანაკის პოზიციებს შორის. ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დღეს გამოსული წარმომადგენლები იცავდნენ რეზოლუციის ინგლის-ამერიკის პროექტს, რომელიც მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევს ომის გამჩაღებლებს, რომლებიც ახორციელებენ გააფთრებულ, გამალებულ შეიარაღებას. მეორე მხრივ, სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური ა. ი. ვიშინსკი, ამხილებდა რა რეზოლუციის ამ პროექტის ავტორთა ნამდვილ მისწრაფებებს, იცავდა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისაკენ მიმართულ საბჭოთა წინადადებებს.

საფრანგეთის დელეგატმა შუმანმა, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა დალესმა, დიდი ბრიტანეთის დელეგატმა მაკნეილმა ახალი ვერაფერი დაუმატეს იმ გაცვეთილ მოსაზრებებს საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ, რომლებსაც დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლები უკანასკნელი ორი თვის მანძილზე დაუსრულებლად იმეორებდნენ ასამბლეის პლენუმზე, პოლიტიკურ კომიტეტსა და მის ქვეკომიტეტში.

შუმანი ყოველნაირად ცდილობდა, რომ შეიარაღების შემცირების საკითხი შეეცვალა „გარანტიების", საერთაშორისო კონტროლისა და „კოლექტიური უშიშროების" საკითხით. ამასთან იგი ცდილობდა საქმე იმგვარად წარმოედგინა, თითქოს საბჭოთა დელეგაცია უარყოფს ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის საჭიროებას. შუმანმა სავსებით დაუჭირა მხარი პოლიტიკური კომიტეტის უმრავლესობის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციის პროექტს.

დალესს დღეს დებიუტი ჰქონდა როგორც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურს. ამ დანიშვნის შესახებ ყველა გაზეთი იუწყება. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ახალი მეთაურის დებიუტი აღინიშნა დალესისათვის დამახასიათებელი ინციდენტით. როცა თავმჯდომარემ მას სიტყვა მისცა, იგი ზანტი ნაბიჯით ავიდა ტრიბუნაზე, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და მოურიდებლად თქვა:

— მე ასე მესმის, რომ სხვა ორატორები არ არიან და ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ კენჭისყრა?

თავმჯდომარე ევატმა რამდენჯერმე დაბნეულად თქვა:

— როგორც გნებავთ... მე მიმაჩნდა, რომ თქვენ შემდეგი ორატორი ხართ და თქვენ თვითონ უნდა გადაწყვიტოთ, გსურთ თუ არა ლაპარაკი...

მხოლოდ ამის შემდეგ კეთილინება დალესმა დაეწყო თავისი სიტყვა. მან მიმართა თავის ჩვეულებრივ ხერხებს და საბჭოთა წინადადებანი პროპაგანდად გამოაცხადა. მან განაცხადა, რომ ამ წინადადებებს „ლამაზი ხასიათი" აქვს. დალესმა გაიმეორა უკვე არაერთხელ უარყოფილი ცილისმწამებლური მტკიცებანი, თითქოს საბჭოთა კავშირი „დროშების ქვეშ" ინარჩუნებს იმ შეიარაღებული ძალების დაახლოვებით ნახევარს, რომლებიც მას ჰყავდა ომის დროს.

ამავე დროს, უგულებელყო რა გამალებული შეიარაღების საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები ამერიკის შეერთებულ შტატებში, მან განაცხადა, რომ შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები შეადგენენ მხოლოდ „მცირე პროცენტს ომიანობის დროსთან შედარებით".

ამავე დროს იგი შეეცადა საქმე იმგვარად წარმოედგინა თითქოს ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალები უმნიშვნელოა. დალესმა განაცხადა, რომ „ჩინეთისათვის თავისი შეიარაღებული ძალების ერთი მესამედით შემცირების რეკომენდება, ნიშნავს ვურჩიოთ მას კაპიტულაცია".

დალესი ასევე მოურიდებლად ეპყრობოდა ფაქტებს და შემდეგ ამტკიცებდა, თითქოს საბჭოთა წინადადებანი არ ითვალისწინებენ საერთაშორისო კონტროლისა და ინსპექციის ორგანიზაციას, თუმცა სინამდვილეში სსრ კავშირი წინადადებას იძლევა მოეწყოს მტკიცე საერთაშორისო კონტროლი შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვისადმი. როგორც მოსალოდნელი იყო, დალესმა სავსებით დაუჭირა მხარი პოლიტიკური კომიტეტის უმრავლესობის მიერ შემოტანილ რეზოლუციის პროექტს.

ბრიტანეთის დელეგატი მაკნეილი ზუსტად ჰბაძავდა თავის ამერიკელ კოლეგას და იმეორებდა ზღაპარს, თითქოს სსრ კავშირი მხოლოდ პროპაგანდისტული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, როცა თავისი წინადადებანი შემოჰქონდა. მან გაკვირვებაც კი გამოთქვა იმის გამო, რომ სსრ კავშირმა შემოიტანა ეს „არარეალისტური", როგორც მან თქვა, წინადადება. მაკნეილი შეეცადა გაემართლებინა გამალებული შეიარაღება დიდ ბრიტანეთში იმის დამოწმებით, თითქოს საბჭოთა შეიარაღებული ძალები ერთიხუთად ჭარბობდნენ ინგლისისას.

საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენელთა გაცვეთილ მოსაზრებათა სრული უსაფუძვლობა, განსაკუთრებით ცხადი გახდა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის დასაბუთებული გამოსვლის შემდეგ.

ვიშინსკიმ თავისი სიტყვის დასაწყისში გაიხსენა, რომ საბჭოთა მთავრობა თავისი წინადადებების შეტანისას ემყარებოდა იმას, რომ შეიარაღების შემცირება შეესაბამება მტკიცე მშვიდობის დამყარებისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ამოცანებს და ხალხთა ინტერესებს, რომლებსაც სწყურიათ მძიმე ეკონომიური ტვირთის შემსუბუქება, რაც მათ აწევთ სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღების მეტისმეტად დიდი და სულ უფრო მზარდი ხარჯების შედეგად.

ვიშინსკიმ თქვა, რომ შეიარაღების შემცირების საქმეში პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ხუთი დიდი სახელმწიფოს ყველა არსებული სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების ერთი წლის მანძილზე ერთი მესამედით შემცირება, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება უნდა შეიცავდეს აგრეთვე ატომური იარაღის აკრძალვას. უამისოდ არ შეიძლება მიღწეულ იქნას დადებითი შედეგები მთლიანად შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საქმეში. ამიტომ სსრ კავშირის დელეგაცია მტკიცედ მოითხოვს, რომ ორივე ეს ამოცანა — ატომური იარაღის აკრძალვა და ხუთი დიდი სახელმწიფოს მიერ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ერთი მესამედით შემცირება, განხილულ და გადაჭრილ იქნას ერთდროულად მათი ორგანული კავშირით.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ანალიზი გაუკეთა პოლიტიკური კომიტეტის ინგლის-ამერიკის უმრავლესობის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციის პროექტს და აღნიშნა, რომ ეს პროექტი სრულიად არ შეეხება ატომური იარაღის აკრძალვის საკითხს, არ შეიცავს არავითარ კონკრეტულ წინადადებებს ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ აგრეთვე ასამბლეის მიერ 4 ნოემბერს მიღებული რეზოლუცია ატომის კომისიის მოხსენებათა გამო.

„ამრიგად, — სთქვა ვიშინსკიმ, — ორივე შემთხვევაში ატომური იარაღის აკრძალვის საკითხი უგულებელყოფილია, „არსებითად მოხსნილია განხილვიდან".

იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა წინადადებების მოწინააღმდეგენი ცდილობენ ატომური იარაღის აკრძალვის საკითხი შესცვალონ ყბადაღებული ამერიკული გეგმის საფუძველზე საერთაშორისო კონტროლის ორგანიზაციის საკითხით, სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ეს გეგმა სინამდვილეში მიმართულია იმ მიზნების განხორციელებისაკენ, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებასთან.

როგორც გამოჩენილმა ინგლისელმა მეცნიერმა ბლეკეტმა აღნიშნა თავის წიგნში „ატომის ენერგიის სამხედრო და პოლიტიკური შედეგები", სსრ კავშირი ამერიკული გეგმის მიღებით იძულებული იქნებოდა ეჩვენებინა თავისი სამხედრო ქარხნებისა და მძიმე მრეწველობის განლაგება, ხოლო ეს „გაერთიანებული ერების ინსპექტორებს და ამასთან ამერიკის შტატების უფროსებს მისცემდა სსრ კავშირის ობიექტების უაღრესად სრულ რუკას", ამასთან სსრ კავშირს არ ექნებოდა საკმაო გარანტია, რომ „შეერთებული შტატები მოსპობდნენ ატომურ იარაღს, საბჭოთა კავშირს კიდეც რომ შეესრულებინა გეგმაში მოყვანილი ყველა პირობა".

ამ ამერიკულ გეგმას ვიშინსკიმ დაუპირისპირა საბჭოთა წინადადებანი ატომის ენერგიისადმი კონტროლის შესახებ, რომლებიც ატომის კომისიაში შეტანილი იყო ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინათ. ეს გეგმა მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დამყარებას ახამებს საერთაშორისო უშიშროების ინტერესებთან და სახელმწიფოს სუვერენიტეტის პატივისცემასთან.

ვიშინსკი გადავიდა საბჭოთა წინადადებაზე ხუთი დიდი სახელმწიფოს მიერ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ერთი მესამედით შემცირების შესახებ და აღნიშნა, რომ ამ წინადადებებს, ისევე როგორც წინადადებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, ზოგიერთი დელეგაცია ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციების მეთაურობით, მტრულად შეხვდა. საბჭოთა წინადადებების მოწინააღმდეგენი ყოველნაირად ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ვიდრე დაისმება საკითხი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ, საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო ნდობა. ამასთან, ზოგიერთი დელეგაცია, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები, როცა აყენებდნენ საერთაშორისო ნდობის საკითხს, ცდილობდნენ საქმე

(დასასრული მე-4 გვერდზე)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია

(დასასრული)

იმგვარად მოებრუნებინათ, რომ თითქოს სსრ კავშირის პოლიტიკა ძირს უთხრის საერთაშორისო ნდობის თვით საფუძვლებს.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა პუნქტობრივ გაარჩია საბჭოთა წინადადებების მოწინააღმდეგეთა ყალბი სიტყვები და მოთმინებითა და უაღრესად თავშეკავებული ფორმით ცხად- [illegible]

[illegible]

...ბისადმი მშვიდობისმოყვარე ხალხთა იმ მზარდი წინააღმდეგობით, რაც სულ უფრო და უფრო იჩენს თავს, რაც უფრო და უფრო აღასტურებს ამ გეგმების ჩაფუშვის გარდუვალობას.

შემთხვევით ხომ არ განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა მარშალმა, როგორც ამას იუწყება „ნიუ-იორკ ტაიმსი“, [illegible]

[illegible]

სახელმწიფოს მიერ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ერთი მესამედით შემცირების შესახებ.

ვიშინსკიმ ანალიზი გაუკეთა რეზოლუციის ინგლის-ამერიკის პროექტს განსახილველ საკითხის გამო და ცხადყო, რომ იგი შესდგება ფუჭი და არაფრისმთქმელი დებულებებისაგან. არსებითად ეს პროექტი უდრის ურს ყოველგვარ საქმიანობაზე შეიარაღების მოწესრიგების [illegible]

[illegible]

...იცვე ამას არ შეუძლია არ გამოიწვიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების სერიოზული შეშფოთება, რომელთაც სწყურიათ მშვიდობა და ამიტომ არ იწონებენ ახალი ომის გამჩაღებელთა აგრესიულ გეგმებს, — განაგრძო ვიშინსკიმ.

მაგრამ ომის გამჩაღებლებიც თავის მხრივ შეშფოთებული არიან მათი აგრესიული გეგმე- [illegible]

...სტალინმა თქვა, თავს არ თვლიან დაინტერესებულად სსრ კავშირთან შეთანხმებითა და თანამშრომლობით... აი რით აიხსნება ის წინააღმდეგობა, რასაც უმთავრესად ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები უწევენ საბჭოთა კავშირის წინადადებებს ატომური იარაღის აკრძალვისა და ხუთი დიდი [illegible]

...ამისაკენ ისწრაფვის საბჭოთა კავშირი. ამისაკენ ისწრაფვის საბჭოების ქვეყნის მრავალმილიონიანი ხალხი. ამისაკენ ისწრაფვის საბჭოთა მთავრობა, რომელმაც ჩვენ აქ გამოგვგზავნა დიდი საქმის დასაცავად.

ამ უკანასკნელ სიტყვებს მთელი რიგი დელეგატები და სხდომის დამსწრე საზოგადოება ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

შეიარაღების შემცირების მოწინააღმდეგენი ბოლომდე არიან მხილებულნი

საბჭოთა წინადადებების უარყოფით ინგლის-ამერიკის ბლოკმა ცხადყო თავისი პოლიტიკის აგრესიულობა

პარიზი, 19 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს საღამოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენუმმა დაამთავრა განხილვა საბჭოთა წინადადებისა ატომური იარაღის აკრძალვის და ხუთი დიდი სახელმწიფოს მიერ ერთი წლის მანძილზე შეიარაღების ერთი მესამედით შემცირების [illegible]

[illegible]

...ომში რომ ჩაებნენ. ისინი იბრძოდნენ სამართლიანი საქმისათვის და მათ სურთ დაინახონ დღეს და ხვალ თავიანთი მისწრაფების განხორციელება. ამ მისწრაფებას შეესაბამება სსრ კავშირის დელეგაციის მიერ 25 სექტემბერს შემოტანილი რეზოლუცია, რომელიც წინადადებას იძლევა აიკრძალოს ატომური იარაღი, როგორც აგრესიის იარაღი, [illegible]

[illegible]

...კაშკაშა პროჟექტორი ანათებდა. მათ არ შეეძლოთ არ შეეგნოთ, რომ საკუთარი ხალხები არ აპატიებენ მათ ამ უსამართლო კენჭისყრას. აი ამიტომ დელეგატებმა, რომლებიც ინგლის-ამერიკის ბლოკს ეკუთვნიან, ხმა მისცეს არეულად და თითქმის უხალისოდ. სამდივნოს წარმომადგენელი, რომელიც საბჭოთა წინადადებების [illegible]

[illegible]

...მანუილსკიმ აღნიშნა, რომ ისინი, ვინც პოლიტიკურ კომიტეტში დაჟინებით მოითხოვდა რეზოლუციის ამ პროექტის მიღებას, რომელიც ახლა პლენუმს წარმოედგინა, ვერ ხედავენ, რომ ხალხები ახლა ისეთი აღარ არიან, როგორიც ისინი იყვნენ აგრესიული ფაშისტური ქვეყნების წინააღმდეგ [illegible]

...ნების ამერიკის შეერთებულ შტატებზე ეკონომიური დამოკიდებულების გამო იძულებულნი იყვნენ ხმა მიეცათ საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ, რომლებიც შეესაბამებიან ყველა ხალხის საარსებო მისწრაფებას, არ შეეძლოთ არ შეეგნოთ, რომ ამ მომენტში პლენუმის სხდომის დარბაზს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის [illegible]

...ყველაზე ფართო საზოგადოებრივ წრეებში. მათ მხარი დაუჭირა ნამდვილმა უმრავლესობამ — ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხმა. ამ წინადადებათა გარშემო მომავალში დაჯგუფდებიან საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან და საბჭოთა კავშირის სახით ხედავენ ამ ბრძოლის მედროშეს.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

პრაღა, 21 ნოემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მოწვეულ იქნას ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მორიგი მე-9 ყრილობა 1949 წლის 25-დან 29 მაისამდე, დაამტკიცა ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და პარტიის შემდგომი ამოცანები (მომხსენებელი გოტვალდი).
2. ხუთწლიანი გეგმა და მისი შესრულება (მომხსენებელი ზაპოტოცკი). ამავე საკითხზე თანამოხსენებას სლოვაკიის ინდუსტრიალიზაციის შესახებ გააკეთებს შიროკი.
3. მშენებლობის ამოცანები და პარტიის ორგანიზაციული ამოცანები (მომხსენებელი სლანსკი).
4. პარტიის წევრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდა (მომხსენებელი კოპეცკი).
5. ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენება (მომხსენებელი შტეტკა).
6. ცვლილებანი პარტიის ორგანიზაციულ მშენებლობაში (მომხსენებელი შვერმოვა).
7. ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის არჩევნები.

საბერძნეთის პარლამენტში

ათენი, 21 ნოემბერი. (საკდესი). პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე სოფულისის მთავრობამ საპროგრამო განცხადება გააკეთა. შემდეგ გამოსულმა იმ საპარლამენტო პარტიებისა და ჯგუფების ლიდერებმა, რომლებიც მთავრობაში არ შესულან, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ხელისუფლების სათავეში თითქმის ერთი და იმავე შემადგენლობით 15 თვის განმავლობაში ყოფნისას მთავრობამ დაამტკიცა, რომ მას უნარი არ შესწევს შეასრულოს წარმოდგენილი პროგრამა, და განაცხადეს, რომ ხმას მისცემენ მთავრობის წინააღმდეგ.

პარლამენტში გამოქვეყნდა ვენიზელოსის, პაპანდრეუს, ზერვასის, კანელოპულოსის, ტურკოვასისის, გონატასისა და ალექსანდრისის ერთობლივი განცხადება, რომ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობამ უმრავლესობა ვერ მიიღო ან გადადგა, ისინი ვალდებულებას კისრულობენ ნდობა გამოუცხადონ და მხარი დაუჭირონ ყველა პარტიის წარმომადგენელთაგან ჩამოყალიბებულ ახალ მთავრობას, პარლამენტის რო- [illegible] ...ვის ნდობის გამოცხადებად, თუმცა პაპანდრეუმ და სხვებმა პროტესტი განაცხადეს იმ საფუძველზე, რომ მთავრობამ აბსოლუტური უმრავლესობა ვერ მიიღო.

საგაფიცვო მოძრაობა საფრანგეთში

პარიზი, 20 ნოემბერი. (საკდესი). როგორც დღევანდელი გაზეთები იუწყებიან, დიუნკერკის გაფიცულ დოკერთა წინააღმდეგ, რომელთაც ნავსადგური უკავიათ, უკვე თავმოყრილია 7 ათასამდე პოლიციელი, „უშიშროების რესპუბლიკური რაზმების“ წევრები, მაროკოელი ჯარები და სხვა საარმიო ქვედანაყოფები. ჯარები, რომელთა შემადგენლობაშიც არიან ჯავშანსატანკო და მოტოციკლისტთა ნაწილები და კავალერია, ნავსადგურის ოკუპაციისათვის ემზადებიან. ქალაქის ქუჩებში ჯავშნიანი ავტომანქანები პატრულობენ.

გაზეთების ცნობებით, დოკერები აძლიერებენ საგაფიცვო პიკეტებს და ამაგრებენ ბარიკადებს.

გაზეთი „ლიბერასიონი“ იუწყება, რომ დიუნკერკში გაფიცულია 3 ათასი მუშა, მათ შორის 1.800 დოკერი, 700 მშენებელი მუშა და 500 მელითონე.

ბელგრადის განთავისუფლებისათვის დაღუპულ საბჭოთა და იუგოსლავიელ მებრძოლთა ნეშტის დაკრძალვა

ბელგრადი, 18 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ დაბა რაკოვიცადან ბელგრადში გადაასვენეს საბჭოთა არმიისა და იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის იმ მებრძოლთა ნეშტი, რომლებიც დაეცნენ ბელგრადის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა და იუგოსლაველ მეომართა ნეშტის გადასვენების გამო შემდგარ სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს საბჭოთა კავშირის სამხედრო ატაშემ გენერალ-მაიორმა სიდოროვიჩმა და იუგოსლავიის არმიის წარმომადგენელმა გენერალ-მაიორმა რატკო ვუიოვიჩმა. ბელგრადის სასაფლაოზე დაკრძალულ მეომართა საფლავები მრავალი გვირგვინით შეამკეს ქალაქ ბელგრადის მშრომელებმა და იუგოსლავიის არმიის მეომრებმა და ოფიცრებმა.

მარშალ სოკოლოვსკის განცხადება

გერმანიაში საბჭოთა საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ვ. დ. სოკოლოვსკიმ პრესის წარმომადგენლებს შემდეგი განცხადება გაუკეთა:

ინგლისის მთავრობის პასუხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის III სესიის თავმჯდომარის ბ-ნ ევატისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბ-ნ ტრიუგვე ლის წერილზე ბერლინის საკითხის შესახებ შეიცავს დაუსაბუთებელ მტკიცებას, რომ ბერლინში ოთხი მთავარსარდლის მოლაპარაკება ამა წლის სექტემბერში თითქოს იმ მიზეზით ჩაიშალა, რომ საბჭოთა მთავრობამ „თავის მთავარსარდალს ბერლინში არ გაუგზავნა ინსტრუქციები იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც მიღწეულ იქნა დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლებსა და პრემიერ-მინისტრ სტალინს შორის დისკუსიის დროს მოსკოვში“.

ამ მტკიცებას აბათილებენ ყველასათვის ცნობილი ფაქტები. ნამდვილად საბჭოთა მთავარსარდალს ჰქონდა როგორც ოთხი მთავრობის 30 აგვისტოს დირექტივა ბერლინის საკითხზე, ისე თავისი მთავრობის ყველა სხვა მითითება, რომლებიც აუცილებელი იყო ბერლინის საკითხის დადებითად გადაჭრისათვის, რაც ლოიალურად გაითვალისწინებდა ყველა მხარის ინტერესებს. სწორედ ამ პოზიციაზე იდგა საბჭოთა სარდლობა ამა წლის 31 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე ბერლინში წარმოებული მოლაპარაკების დროს, როცა იგი ცდილობდა მიეღწია ბერლინის საკითხის დადებითად გადაჭრისათვის.

საბჭოთა სარდლობის პოზიცია ბერლინის ამ მოლაპარაკების დროს აშკარად და პატიოსნად არის გამოთქმული მთელი მსოფლიოს წინაშე საბჭოთა სარდლობის მიმდინარე წლის 2 ოქტომბრის განცხადებაში, რომელიც დღემდე წარმოადგენს ბერლინის მოლაპარაკების მსვლელობის ერთადერთ დოკუმენტალურ გაშუქებას.

მეორე მხრივ, დამახასიათებელია, რომ ინგლისის მთავრობას ბერლინში ინგლისის სარდლობის წინადადებანი საფინანსო და სხვა საკითხებზე არც კი შეუტანია ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ეგრეთ წოდებულ „თეთრ წიგნში“. ეს იმიტომ მოხდა, რომ ინგლისის სარდლობის წინადადებანი ბერლინში მკვეთრად განსხვავდებოდნენ ოთხი მთავრობის ამა წლის 30 აგვისტოს დირექტივის პრინციპებისაგან, რაც ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ინგლისის სარდლობა ბერლინში არც [illegible] 30 აგვისტოს დირექტივის [illegible] ამ დირექტივას ხელს აწერდა ინგლისის მთავრობის წარმომადგენელი.

ნათქვამიდან ჩანს, რომ უსაფუძვლოა ინგლისის მთავრობის ცდები — გერმანიაში საბჭოთა სარდლობის შესახებ ყოველგვარი ჭორების შეთხზვით გაამართლოს თავისი პოზიცია ბერლინის საკითხში. საჭიროა შევნიშნოთ — ბერლინის საკითხში დასავლეთი სახელმწიფოების პოზიციის მთავარი ნაკლი ის არის, რომ მათ სრულებით არ სურთ გაითვალისწინონ გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის ინტერესები ბერლინში ვალუტის საკითხის გადაჭრისას. ოთხი მთავრობის 30 აგვისტოს დირექტივაში კი მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ „ოთხ მთავარსარდალს ევალება გაითვალისწინონ საკმაო გარანტიები იმის თავიდან ასაცილებლად, რომ ბერლინში საბჭოთა ზონის გერმანული მარკის გამოყენებამ არ გამოიწვიოს ფულის მიმოქცევის მოშლა ან ვალუტის სიმტკიცის დარღვევა ოკუპაციის საბჭოთა ზონაში“. ამ შეთანხმებული პრინციპის დაცვის აუცილებლობის საკმაო გაგება რომ გამოეჩინათ, ყველა დანარჩენი საკითხი ადვილად გადაიჭრებოდა.

არ სურთ გაიგონ, ან ისე აჩვენებენ თავს, თითქოს არ ესმით ის, რომ თუ რეალური საფრთხე არ შექმნილიყო საბჭოთა ზონის ეკონომიური ინტერესებისათვის, დასავლეთ გერმანიაში ფულის სეპარატულ რეფორმასთან და ბერლინის დასავლეთ სექტორებში მეორე ვალუტის შემოღებასთან დაკავშირებით, მაშინ საბჭოთა მხარისთვისაც აუცილებელი არ იქნებოდა ის შემზღუდველი ღონისძიებანი, რომლებიც შემოღებულ იქნა კომუნიკაციებზე ბერლინსა და გერმანიის ოკუპაციის დასავლეთ ზონებს შორის.

საჭირო არ არის გავიმეოროთ, რომ საბჭოთა მხარე მუდამ მიისწრაფვოდა ბერლინის საკითხის დადებითად გადაჭრისაკენ ურთიერთ ინტერესებისა და არსებულ საერთაშორისო შეთანხმებათა გათვალისწინებით. ამას ადასტურებს როგორც საბჭოთა მთავრობის ამა წლის 16 ნოემბრის პასუხი ბ-ნ ევატისა და ბ-ნ ტრიუგვე ლის მიმართვაზე, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე პარიზში საბჭოთა დელეგაციის მეთაურის დადებითი დამოკიდებულება უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ბრამუგლიას საშუამავლო მეცადინეობისადმი.

1948 წლის 19 ნოემბერი.

სსრ კავშირიდან ბერლინს დაბრუნდა გერმანელ დემოკრატ მოღვაწეთა დელეგაცია

ბერლინი, 21 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ბერლინში საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდა გერმანელ დემოკრატ მოღვაწეთა დელეგაცია ოტო გროტევოლის, პროფესორ კასტნერისა და ოტო ნუშკეს მეთაურობით. ამ დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავის გამო მოსკოვში გამართულ დღესასწაულში.

ვაგზალზე დელეგაციას შეხვდნენ ვილჰემ პიკი, ვალტერ ულბრიხტი, გერმან მატერნი და სხვები. დელეგაციის შესახვედრად ვაგზალთან შეიკრიბნენ ფაბრიკა-ქარხნების მუშები. აქვე გაიმართა მიტინგი, რომელზეც მოკლე სიტყვები წარმოთქვეს გროტევოლმა, ნუშკემ და კასტნერმა. მათ დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ.

როგორც მიტინგის გახსნისას გერმან მატერნმა (გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია) აღნიშნა, ომის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, რომ გერმანელი ხალხის დელეგაციამ შეძლო მონაწილეობა მიეღო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის გამო მოსკოვში გამართულ დღესასწაულში და დაესწრო საზეიმო დარბაზობას საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ მოლოტოვთან. „ამ ფაქტმა, — თქვა მატერნმა, — ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ დაგვანახვა, რომ საბჭოთა კავშირი ნამდვილად ცნობს გერმანელი ხალხის სუვერენიტეტსა და გერმანიის დამოუკიდებლობას. თავისი სახელმწიფოს მშვიდობიანი მშენებლობისათვის გერმანელ ხალხს ესაჭიროება მჭიდრო თანამეგობრობა საბჭოთა კავშირთან — სოციალიზმის „ქვეყანასთან“.

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

20 ნოემბერს გათამაშდა წინა ტურთა დაუმთავრებელი პარტიები, აგრეთვე ორი გამოტოვებული პარტია ტოლუშ-კოტოვისა და ილივიცკი-რაგოზინისა.

ტოლუშ-კოტოვის პარტია ტოლუშის გამარჯვებით დამთავრდა. ეს ტურნირის ლიდერ კოტოვის პირველი დამარცხებაა. ილივიცკი-რაგოზინის მეორე პარტია გადაიდო. რაგოზინს მძიმე მდგომარეობა აქვს.

გაუთამაშებლად შეთანხმდნენ ყაიმზე კერესი და ბონდარევსკი. ლისიციშმა მოუგო ალატორცევს, ბრონშტეინმა — პანოვს, ავერბახმა — ტაიმანოვს.

ფურმან-ხოლმოვის პარტია ფურმანის გამარჯვებით დამთავრდა.

კვლავ გადაიდო კონსტანტინოპოლსკი-არონინის პარტია.

ექვსი ტურის შემდეგ მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: კოტოვს 4 ქულა აქვს ხუთში და ერთი გადადებული პარტია, ტოლუშს — 4 ექვსში, ბრონშტეინს — 3½ ხუთში, ლისიცინს — 3½ ექვსში, არონინს — 3 ხუთში და ერთი გადადებული პარტია, ფლორს — 3 ხუთში, ბონდარევსკისა და ფურმანს — სამ-სამი ექვსში, კერესსა და ავერბახს — ორ-ორნახევარი ხუთში, ლევენფიშს 2½ ხუთში და 1 გადადებული პარტია. (საკდესი).

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

28 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, შედგება დოცენტ კალანდაძის კონსულტაცია ფილოსოფიაში.

24 ნოემბერს, დილის 9 საათზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის შედგება ამხ. **ლ. გეგეშიძის** ლექცია თემაზე: **„მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლა ბიოლოგიურ მეცნიერებაში“.**

24 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, შედგება ამხ. კალაძის კონსულტაცია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების საკითხებზე.

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

24 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი აკადემიკოსი **ხ. ხ. პეროვი** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: **„ზოოტექნიკისა და ვეტერინარიის პრობლემა მიჩურინული მოძღვრების მიხედვით“.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს დამატებით მიღებას საკანდიდატო ასპირანტურაში შემდეგ სპეციალობებზე:

1. ფოლადის ტექნოლოგია, 2. სამთო საქმე, 3. ფერადი ლითონების მეტალურგია, 4. პლასტმასების ტექნოლოგია, 5. კოქსოქიმია, 6. რადიოტექნიკა, 7. ავტომატიკა-ტელემექანიკა, 8. სააღმშენებლო სამუშაოთა მექანიზაცია, 9. ნავთის გეოლოგია და 10. ელექტრო-იონური აპარატურა.

განცხადებას ასპირანტურაში მიღების შესახებ თან უნდა დაერთოს ორ-ორი ცალად:

ა) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი, ბ) ავტობიოგრაფია, გ) ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ, დ) დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან ან უმაღლესი სასწავლებლიდან, ე) სამეცნიერო შრომები, დაბეჭდილი ან ხელნაწერი (თუ ასეთი აქვს), ვ) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ზ) შემოწმებული სამი ფოტოსურათი და თ) წერილობითი ნაშრომი (რეფერატი) სპეციალურ საგანში.

ასპირანტურაში შემსვლელმა უნდა ჩააბაროს გამოცდები (უმაღლესი სასწავლებლის კურსის ფარგლებში) შემდეგ საგნებში: ა) სპეციალურ დისციპლინაში, ბ) დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში, გ) რუსულ ენასა და დ) ერთ-ერთ უცხოურ ენაში.

განცხადება მიიღება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კადრების განყოფილებაში (ქ. თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8) ა. წ. 15 დეკემბრამდე. გამოცდები ჩატარდება 15 დეკემბრიდან.

ასპირანტურაში ჩარიცხულნი საასპირანტო კურსის გასავლელად მივლინებულ იქნებიან მოსკოვისა და ლენინგრადის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ან უმაღლეს სასწავლებლებში.

ასპირანტურაში მიღების პირობების შესახებ ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კადრების განყოფილებაში.

მოქალაქე **ვლადიმერ არისტარხოს-ძე სამსონაძემ,** მცხოვრებმა ართვინის ქ. № 1, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ლიუდმილა ალექსანდრეს ასულ სამსონაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

უახლოესი ამხანაგები: ა. ჰელიძე, მ. დოლიძე, ი. სერგულაძე, ბ. ეღენტი, ე. ჩხიკვაძე, ბ. ზარათაშვილი, ვ. მენაბდე, ე. სურგულაძე, რ. ფასიეშვილი, ვ. დონაძე იუწყებიან **ალექსი გაბრიელის-ძე გიორგაძის** გარდაცვალებას.

სევერიან, საშა, კაკო, ჯუზინა, მაყვალა ჭიჭინაძეები და დიმიტრი ნასყიდაშვილი იუწყებიან **ალექსი გაბრიელის-ძე გიორგაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 23-XI, 4 ს. გოგებაშვილის პირველი შესახ., 11.

დედა დარიკო, ძმა კოლია, დები ნატაშა, ქსენია და ნინო იუწყებიან **ვერა (ვერიჩკა) ნესტორის ასულ შავდია-ურუშაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-XI ლანჩხუთში.

თბილისის ვაჟთა 35-ე საშუალო სკოლის პედკოლექტივი და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დიმიტრი შენგელაიას მისი დედის **დესპინე საჯაია-შენგელაიას** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 25-XI სოხუმში, იპოდრომის, 7.

მეუღლე პარმენ ურიდია, შვილი ბუთხუზი, მშობლები ჰაჭუ, რაჟდენ, დები ვალია, ქსენია, ძმა ვახტანგ ფიჩხაიები, სიძე ე. იმნაძე, დედამთილი მინა, მაზლები ალექსანდრე, კლიმენტი, გრიშა და გიორგი ურიდიები ოჯახებით იუწყებიან, რომ 27-XI ქ. ზუგდიდში დანიშნულია **ვენერა რაჟდენის ასულ ფიჩხაია-ურიდიას** პანაშვიდი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67. სამდივნოსი—3-06-88. განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 14950